



ბავთი

E-mail: r.jalagania@mail.ru



№306 (365) 3-10 მარტი 2015

სახალხო მოძრაობა

„სამებროს“ ორბანო

30 თეთრი

სირსხვილი ის ქი არ არის, რომ მებროსად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებროსი ენა – აქაი ხანიკა

მებროსის ირემი ეროვნულ სახელმწიფოებრიობაზე შარის სათქმელად მხოლოდ არ აღმოჩნდნენ

ჟურნალისტ ირაკლი თოდუას ინტერვიუ ბატონ ალექსანდრე ზაჭიანთან დაიბეჭდა 2012 წელს, გაზეთში „საქართველო და მსოფლიო“

– რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენმა მინდია გულუამ ასევე ჩამოაყალიბა პოლიტიკური პარტია და ძალაუფლებისთვის ბრძოლა წამოიწყო...

– მე მას არ ვიცნობ და არაფერი ვიცი პარტიის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. რაღა დაგიმალთ, მე ორადორი დიდერი ვიცი, რომლებიც სახლგარეგანიდან ხელმძღვანელობდნენ პოლიტიკურ ბრძოლას და ამ გზით მოვიდნენ ხელისუფლებაში – ვლადიმერ ლენინი და აბათოლა პომპინი, მაგრამ ლენინს ძლიერი იდეოლოგია და სტალინი ჰყავდა, ხოლო პომპინი შიტიური სამყაროს აღიარებული სულიერი ლიდერი იყო.

– გულუასაც აქვს საქართველოსთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იდეა: იგი აფხაზეთის დაბრუნებას გეპირდება. პირდაპირ ასე აცხადებს: „მე დავიბრუნებ აფხაზეთს“. იგი ამტკიცებს, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კონკრეტული პროგრამა აქვს.



შევარდნაძესა და სააკაშვილს არავითარ პუნქტად შესაძლებლობა, რეინტეგრაციული პროცესები დაეწყოთ, მაგრამ ამისთვის მათ უარი უნდა ეთქვათ საქართველოს ნატოში გაწევრიანების ბოლო იდეაზე და სამხრეთ კავკასიაში ამერიკის მაროინტის როლზე. ორივემ მაროინტობა არჩია, ხოლო სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოს ომით საბოლოოდ დაუსვა წერტილი ამ საკითხს. თქვენ ხომ იცით, აფხაზეთს რადიკალურ წრეებს ძალიან ეშინოდათ, რომ შევარდნაძის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდოდა სადად მოახროვნენ პოლიტიკოსი, რომელიც შეძლებდა რუსეთთან ურთიერთობების დადგენას. ისინი პირდაპირ ამბობდნენ: «თუ საქართველოს მმართველი რუსეთის მეგობარი იქნება, მაშინ რუსები ისევ გააიძულებენ, გავერთიანდეთ ქართველებთან, მაგრამ სააკაშვილმა ისინი ძალიან გაახარა, როდესაც შევარდნაძის საგარეოპოლიტიკური კურსისადმი ერთგულება დაადასტურა და პირდაპირ გააბედნიერა, როდესაც ცხინვალის ომი დაიწყო. სოხუმში მაშინ უნდადა, ძეგლიც კი დაეგიათ სააკაშვილისთვის, როგორც აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მამისთვის. მართალია, ძეგლი კარკატიური უნდა ყოფილიყო.

დღეს პრაქტიკულად ყველაფერი სუფთა ფურცლიდან უნდა დაიწყოთ. თვისობრივად ახალი რეინტეგრაციული პროექტია საჭირო, რომელსაც წარადგენენ ახალი, სისხლითა და მტრობით გაუსერული პოლიტიკოსები. თანაც ისეთი პოლიტიკოსები, რომლებიც როგორც აფხაზეთის, ასევე რუსული მხარის ნდობით სარგებლობენ. ამ

თვალსაზრისით, მე ივანიშვილის იმედი მქონდა, მაგრამ მან ოფიციალურად დაადასტურა, რომ შევარდნაძე-საკაშვილის საგარეო პოლიტიკას გააგრძელებს, ანუ იმათთვის ხაზი გადაუსვა ტერიტორიული მთლიანობის საკითხში პოზიტიური ცვლილებების ყველა იმედს. დაიმახსოვრეთ: პოლიტიკოსი, რომელიც მიხნად ნატოში შესვლას ისახავს, ვერასოდეს გაამთლიანებს საქართველოს, უფრო კი სხვა რეგიონებს დაკარგავს.

– პოლიტიკური პარტიების დაბალი ავტორიტეტის ფონზე, ბოლო წლებში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ მეკეთრად გაიზარდა ნდობის რეიტინგი. ქართველი პოლიტიკოსები ცდილობენ, თავიანთ საქმიანობაში ეკლესიის მხარდაჭერა მოიპოონ, მაგრამ, ჩემი აზრით, დღევანდელ პირობებში ეკლესია თვითონ საჭიროებს დაცვას. ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში თქვენ ხშირად წყაროთ საფრთხეებზე, რომლებიც ემუქრება ქართულ მართლმადიდებლობას, ვითარებად კიდევ, შექმნილიყო მართლმადიდებლობის დაცვის სამოქალაქო კავშირი. მეონი, ბოლო წლებში თქვენი შიში გამართლდა – ეკლესიაზე ზეწოლა მტრულად უნდა იყოს მიიღო. შეიძლება თუ არა ისე მოხდეს, რომ ეკლესიამ, საფრთხის გამო, რომელიც მის არსებობას ემუქრება, მყარი პოლიტიკური პოზიცია დაიკავოს?

– საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ქართულ ეკლესიას ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების მიმართ ინდიფერენტული პოზიცია ეკავა. ჩვენ არ გავივიტა ეკლესიის პროტესტი ჩვენი უახლესი ისტორიის ყველაზე კრიტიკულ პერიოდის დამღუპველ მომენტებში. ეკლესიამ არ დაგმო სახელმწიფო გადატრიალება და კანონიერი პრეზიდენტის დამხობა, რომელიც ხალხმა თითქმის ერთხმად აირჩია, თანაც ერთადერთ სამართლიან არჩევნებში ჩვენს ისტორიაში. ამ დანაშაულმა საშინლად შეურაცხყო ქართველი ხალხი და იგი ეკლესიის რეაქციას, მის მხარდაჭერას ამაოდ ელოდა. ეკლესიამ არ აღიმაღლა ხმა, როდესაც შევარდნაძემ აფხაზეთში ომი დაიწყო, როდესაც სამეგრელოში დამჯავლი რაზმები გაუსვა საფანალო და ერთმორწმუნე თანამემამულეების დასახოცად. საერთოდ, ეკლესიის ხელმძღვანელობა ყველაფერში მხარს უჭერდა შევარდნაძეს, თუნდაც იმ დასავლური «დემოკრატიული» ნორმების იძულებით დანერგვაში, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა მართლმადიდებლურ ღირებულებებს და თვითონ ეკლესიის მომავალს უქმნიდა საფრთხეს. ზუსტად ამის შესახებ ვწერდი მაშინ პრესაში და პირადად ვუვრებოდი პატრიარქს. რაკი ეკლესიის მორჩილება და გულგრილობა დაინახეს, შევარდნაძის მეგობრები მართლმადიდებლობის პრობლემის კარდინალურ გადაჭრას შეუდგნენ – მართლმადიდებლური სულიერი ღირებულებების ტოტალურ გამოიყენებას, ეკლესიისა და მის მსახურთა დაცინვას, ეკლესიის უფლებების შეზღუდვას, რელიგიურ სექტებთან მის ფაქტობრივ გაიგივებას. ეს მარტივი მიზეზის გამო ხდება: მართლმადიდებლობა დასავლურ ღირებულებებთან, ხეობრივ ნორმებთან, ამერიკული ცხოვრების წესთან შეუთავსებელია. ვერც ერთ მართლმადიდებლურ ქვეყანაში დასავლეთი ვერ ახერხებს, დაუმორჩილოს ხალხი თავის ხეობას, ცხოვრების პრინციპებს. გაიხსენეთ, რას ამბობდა ამერიკელი იდეოლოგი ბუქსინსკი: კომუნისტების კრახის შემდეგ ჩვენ დაგვრჩა ერთი მტერი – მართლმადიდებლობა. ჩვენმა „რეფორმატორებმა“ გადაწყვიტეს, აჩვენონ ამერიკულ პატრონებს, რომ მართლმადიდებლობის დისკრედიტირება, გამოდევნა, განადგურება შეიძლება და ამ გზით ერის გენეტიკური კოდის შეცვლაც შესაძლებელია. მე ვამაყობ იმით, რომ ქართველმა

ხალხმა იგრძნო ეს საშიშროება და მართლმადიდებლობისა და მართლმადიდებლური ეკლესიის დასაცავად დადგა (თუმცა თავად ეკლესიამ არ დაიცვა ხალხი მისთვის მძიმე მომენტებში). ხალხის სწორედ ამ პოზიციით აიხსნება ეკლესიის მაღალი რეიტინგი, მაგრამ ეს არ არის ეკლესიის დამსახურება. ეროვნული თვითგადარჩენის გრძობამ შეკრიბა ხალხი ეკლესიის, როგორც ტრადიციული ღირებულებების ერთადერთი დარჩენილი ინსტიტუტის, გარშემო. ცხადია, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო წლებში ჩვენ გვხვდავთ ცალკეული სასულიერო მოღვაწეების და თუნდაც ეკლესიის იერარქების საზოგადოებრივ აქტიურობას. მე ღრმა პატივისცემით ვუპატივებ ამ მამაც ადამიანებს, რომლებიც საქვეყნოდ კიცხავენ ხელისუფლების ცოდვას და დანაშაულს, მის მიერ შექმნილ ეროვნული სულის ჩამხობის სისტემას. ამ საეკლესიო მოღვაწეებს მიაქვთ ხალხთან მართალი სიტყვა, ამბობდნენ, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს და ამ გზით აღიერებენ ქართული ეკლესიის ავტორიტეტს. ბევრი მათგანი თქვენს გაზეთშიც იბეჭდება. ვფიქრობ, მათი აქტიური პოზიციისა და ქართულ მონასტრებში ბერების გარემოში დუდიანს წყალობით კათოლიკოს-პატრიარქი ძალიან ფრთხილად, მაგრამ მაინც აძლევს თავს უფლებას, გამოივადოს კრიტიკული შეფასებები ხელისუფლების განსაკუთრებით მძულველი ქმედებების წინააღმდეგ. უფრო კატეგორიულ და პრინციპულ პოზიციას მისგან არ უნდა ველოდოთ. საქართველოს ისტორიაში იყვნენ კათოლიკოსები, რომლებიც ძალიან მეტონ პოზიციის იკავებდნენ ხელისუფლების მიმართ, თუ ხელდავდნენ, რომ ხელისუფლება ენებს ხალხს და სახელმწიფოს. ილია მეორე მათ რიცხვს არ მიეკუთვნება. იგი ძალიან წესიერი, ღირსეული ადამიანია, მაგრამ მეტროპოლი არ არის. პირქით, ჩვენ – საზოგადოებამ, ხალხმა პატრიარქისადმი თავყანისა და პატივისცემის გამოხატვით უნდა დავიცვათ იგი როგორც ხელისუფლებისგან, ასევე გადაგვარებული, უპრინციპო სასულიერო პირებისგან, მათ შორის წმინდა სინოდის გაყიდული წევრებისგან. ილია მეორე დღეს არის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ერთიანობის გარანტი. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ ადამიანი უკვდავი არ არის. პირადად პატრიარქი, მართლმადიდებლური ეკლესიის სასულიერო პირები და მრევლიც უნდა დაფიქრდეს, თუ ვინ ჩაუდგება სათავეში ეკლესიას ილია მეორეს შემდეგ. ხელისუფლება შეეცდება, წმინდა სინოდის მოსყიდული წევრების გამოყენებით «რეფორმატორთ», ეკუმენისტი, «ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა» მიმდევარი დასვას პატრიარქის ტახტზე. ამ შემთხვევაში ეკლესიის გახლენას თავს ვერ ავარიდებთ, ეს კი საზოგადოების, ერის გაყოფას, ერთადერთი გამაერთიანებელი სულიერი ძალის ჩამორთმევას, ერის საყრდენის გამოცდას ნიშნავს. მაშინ ჩვენს ხელისუფლებას შეეძლება, ამერიკელებს პატაკი ნაბაროს: მართლმადიდებლური ეკლესიის დანგრევისა და განადგურების ექსპერიმენტი წარმატებით დავასრულეთ და ამაშიც მაგალითი შეგვიძლია ვიყოთ სხვა ქვეყნებისთვის.

– მინდა, საქართველოში მომავალი პოლიტიკური პროცესების შესახებ თქვენგან რაიმე ოპტიმისტური გავიგო. ნუთუ ამ გაუგებრობის, გაურკვევლობის, საყოველთაო ტყუილისა და დაღატაკების პერიოდი არასოდეს დასრულდება?

– საქართველოს თავის ისტორიაში მართლაც ყველაზე საშიში პერიოდი აქვს. მეონი, ხალხი სწორად ვერ აფასებს დღევანდელი მდგომარეობის კატასტროფულობას ჩვენს სამშობლოში. ხშირად შეიძლება გავიგონოთ, რომ თურმე საშინელი არაფერი ხდება, საქართველოს გადაუტანია უფრო რთული პერიოდებიც. არა, არ გადაუტანია!

დაიხ, საქართველო თავისი ისტორიის მანძილზე იშვიათად ყოფილა ერთიანი სახელმწიფო, იყო რამდენიმე სამეფოდ დაშლილიც, არ გააჩნდა დამოუკიდებლობა, იყო ლატაკიც და აოხრებულაც. თუ ყველა იმ წლებს შევაჯამებთ, როცა საქართველო ერთიანი იყო, ჯამში, საბჭოთა პერიოდის წათვლით, 200-250 წელიწადი დაგროვდება. მაგრამ დაყოფის პერიოდშიც კი ეს ჯუჯა სახელმწიფოები მაინც ქართული იყო: იქ ცხოვრობდნენ ქართველები, ედებოდა და ვითარდებოდა ქართული ენა, მოქმედებდა ქართული ტაძრები, იქმნებოდა ქართული კულტურისა და ხელოვნების ნიმუშები. შევარდნაძისა და სააკაშვილის მოღვაწეობის შემდეგ კი, პირველად ისტორიაში, ძირძველ ქართულ მიწებზე არაქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები შეიქმნა, რომლებშიც ქართველებისთვის, ქართული ენისთვის, ქართული კულტურისთვის ადგილი არ არის, ანუ ქართველი ხალხის არეალი, სასიცოცხლო სივრცე მკვეთრად შემცირდა. მეტიც, ანალოგიური პროცესებისთვის ნიადაგი მზადდება სხვა ქართულ რეგიონებშიც. ასეთი რამ ჩვენს ისტორიაში არ ყოფილა. ჩვენს ისტორიაში არ ყოფილა ერისთვის ისეთი დამღუპველი მოვლენა, როგორც ქართული მოსახლეობის მასიური ემიგრაცია. ემიგრაციამ კატასტროფული მასშტაბები მიიღო. საბჭოთა პერიოდის ბოლოსკენ საქართველოს მოსახლეობა 5,5 მილიონ ადამიანს შეადგენდა, დღეს ავტორიტეტული ექსპერტების შეფასებით – 3,6-3,8 მილიონი ადამიანია. რამდენია მათ შორის ქართველი?

– ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ საქართველოში ყველაზე გაგრძობილ გვართა სუთულში მესამე ადგილზეა გვარი მამედოვი, ხოლო მეხუთეზე – ალიევი...

– ეს ხელისუფლების პოლიტიკის ბუნებრივი შედეგია. და კიდევ რამდენ ქართველს უნდა ლუკმაპურის საძებნელად საქართველოდან წასვლა? ასეთი რამ საქართველოს ისტორიაში არასოდეს ყოფილა. ამას გარდა, არასოდეს ყოფილა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება, ქვეყნის ოფიციალური პოლიტიკური და ინტელექტუალური ელტა თვითონ ცდილობდეს ქართული საზოგადოების გახრწანას და გარყვანას, ტრადიციული ზნეობის, ქვეყნის ნორმების, სულიერების, ეროვნული სპეციფიკის, სოციალ-კულტურული თვითმყოფადობის, ანუ ყველაფერ იმის განადგურებას, რაც ქართველობას განსაზღვრავს. ზუსტად ამიტომ ვამბობ, რომ ქართველ ხალხს თავისი ისტორიის ყველაზე მძიმე პერიოდი უდგას და, სამწუხაროდ, ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობა არ გვაძლევს იმის იმედს, რომ ეს რთული პერიოდი ჩვენთვის პოზიტიურად დამთავრდება.

– თამაში განცხადება...

– ასეთი სითამამე ქართული პოლიტიკის ყველა პერსონაჟს ახასიათებს არჩევნების წინ, თუმცა, თუ სერიოზულად ვისაუბრებთ, ასეთი პროგრამა რეალური მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს, თუ იგი აფხაზეთს მხარესთან ერთობლივად იქნება შემუშავებული რუსეთის ფედერაციის შუამავლობით. მე კარგად ვიცნობ სიტუაციას აფხაზეთში, პირადი ურთიერთობა მაკავშირებს აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან, პოლიტიკურ და ინტელექტუალურ წრეებთან და შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განაცხადო, რომ საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არსებობს ისეთი მოქმედი პოლიტიკური ლიდერი, რომელთანაც აფხაზეთს რეინტეგრაციის პრობლემაზე სასაუბროდ მიუსხდებიან მოლაპარაკებათა მაგიდას. მეტიც, არც ისეთი ლიდერი არსებობს, რომელსაც ასეთი მოლაპარაკებაში პარტნიორად ჩართვაზე მოსკოვი აფხაზეთთან რეკომენდაციას გაუწევდა.

ესაუბრა ირაკლი თოდუა

სამებროსა (ოღიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია

აფხაზეთის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებს მუწის წყლის შესახებ იმეორებს ნ. დადიანიც: „ზუფუს დასავლეთ არს მუწის წყალი: გამოხდის კავკასიონისა და შვერთის ზღვას“ (დადიანი 1962: 152). ნ. ჯანაშიას მიანდა, რომ ვახუშტის მიერ მოხსენიებული მუწის წყალი უნდა იყოს მჭიშთა – (Черная Мышиш) (ჯანაშია VI, 1988: 287). მდ. მჭიშთას „მანშის“ ფორმით მოხსენიებს ელუარდ აიხვალდი და წერს: „მანშიც ერთის ზღვას ბიჭვინთის ყურეში და მასზე შეიძლება რამდენიმე ვერსზე აღმა ცურვა“ (აიხვალდი 2005: 222).

ბიჭვინთა არაერთ უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროში მოხსენიება. სახელწოდება პითიუსის (ბერძნ. Pithios Pityus) და Pithyis, იტალ. Pezonda, აფხ. IZaa, რუს. Пещинда) ამოსავალია ქართული „ფიჭვი“.

ბიჭვინთის ეკლესიას ვახუშტი აღმატებით ხარისხში მოხსენიებს და წერს, რომ „დიდშენი, კეთილ ფრიად, გუმბათიანი“ ეკლესია ბიჭვინთის იმპერატორ იუსტინიანე I-ს აუშენებია „შემკობითა დიდითა“. როგორც ჩანს, იგი ეგრძობოდა ძველი მეტიანის თხზულებაში დაცულ ცნობას აფხაზეთში ტაძრის აგების შესახებ. ვახუშტის თხზულების არშიაზე შესაბამის ადგილას შემდეგი მინაწერი გაუკეთებია: „ბარონია სწერს: კვისარმან იუსტინიანემ აღაშენა ეკლესია აფხაზეთს წელს ქრისტესსა 529. ეს არს ბიჭვინთ დვთისმობლისა, რომელი იქმნა განყოფილსა ხოსროვანთასა, რაჟამს ფარსმან ყრქა სპარსთა და ძენი მირდატისნი ბერძენთა. ამით ჩანს, ვინადაც მირდატის ძეთა აღარ გაყრათ. ფარსმანს მიუღეს კვალად ვერისის მდინარის იქითი ბერძენთა“ (ვახუშტი IV, 1973: 784).

იუსტინიანეს მიერ აშენებულ დვთისმობლის ეკლესიაში იგულისხმება არა ის ეკლესია, რაც ბიჭვინთაში დღეს დგას, არამედ არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილი რამდენიმე ადრექრისტიანული ეკლესიად ერთ-ერთი. ირკვევა, რომ ბიჭვინთაში იდგა ქრისტიანული ტაძარი, რისი დასტურიცაა 325 წლის ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის ეპისკოპოს სტრატოფილეს მოხსენიება (ბერაძე 1998: 107).

ვახუშტი ბატონიშვილი ფიქრობს, რომ ბიჭვინთის ეკლესია ქრისტეს ერთ-ერთი მოციქულის – სვიმონ კანანელის საფლავზეა აგებული, რაც შეცდომაა. იგი მაშინაც შეცდომას უშვებს, როცა ბიჭვინთა და ნიკოფსია ერთი და იგივე პუნქტის სახელწოდება პერთია.

ქართულ და უცხოურ საისტორიო მწერლობაში არაერთხელ მოხსენიებული ნიკოფსია (ბერძნული Nikofsis) ამჟამინდელი ნოვია მიხაილოვკაა, რაც მდებარეობს ქალაქ ტუაფსის (კრასნოდარის მხარე, რუსეთის ფედერაცია) ჩრდილო-დასავლეთით, 47 კმ-ის დაშორებით, ნეგეფსუხოს/ნეჩეფსუხოს ნაპირას. აღნიშნული მდინარით (უწინდელი ნიკოფსიით) იმიჯნებოდა ჯერ ვერის-აფხაზეთის, იგივე „აფხაზეთ“ სამეფო და ჯიქეთი, ხოლო ერთიანი ქართული მონარქიის ჩამოყალიბების შემდეგ – საქართველო და ჯიქეთი (იქვე: 107-108).

სვიმონ კანანელის საფლავის ნიკოფსიაში არსებობის შესახებ ცნობები მოიპოვება სხვადასხვა წყაროებში. თხზულება, სახელწოდებით – „მომოსლა და ქადაგება ყოველად ქებულისა და დიდებულისა მოციქულისა ანდრეასის“, გვაუწყებს: „სვიმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოფსე ქალაქი აფხაზეთისა და ჯიქეთისა“ (საბინინი 1882: 36). ნიკოფსიაში მის დაკრძალვაზე მოგვითხრობს მემკვიდრე ლეონტი მროველი: „ამისვე ადერკის მეფობისა შინა მოვიდეს ათორმეტთა წმიდათა მოციქულთაგანნი ანდრია და სვიმონ კანანელი აფხაზეთს და ვერისს და მუნ აღესრულა წმიდა სვიმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფსისა“ („ქ. ცხ.“ I, 1955: 38).

ამ და სხვა ისტორიული წყაროების გაანალიზებით თამაზ ბერაძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში არსებული ყველაზე ძვირფასი ქრისტიანული რელიქვია – ქრისტეს სჯულის მქადაგებლის, სვიმონ კანანელის წმინდა ნაწილები, ქართველებს ნიკოფსიიდან ანაკოფიაში მას შემდეგ უნდა გადმოესვენებინათ, რაც საქართველოს

ძლიერების დასუსტების შემდეგ მორჩილებიდან გამოსულმა ჯიქებმა საქართველოს განაპირა მხარის აღიარება დაიწყეს. მართალია, ქართველები ჯიქ-აფხაზეთის გამოსხლმებს დამსჯელი სამხედრო ექსპედიციებით პასუხობდნენ (ვამეყე II დადიანის (1384-1396 წწ.) ბრძოლა ჯიქთა წინააღმდეგ), მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა დასავლეთ კავკასიის მთიელთა სტიქიური „მოწოდება“ შესანერგებლად, რომელიც „ამ დროს ძალას იკრებდა და დასავლეთ საქართველოს ბარისაკენ გაჭრას ცდილობდა“ (ბერაძე 2007: 133). ამასთანავე, ჯიქეთში მაინც იგრძნობოდა ქრისტიანობის თანდათან შესუსტება. ამ ფონზე უპატრონოდ დარჩენილ საეკლესიო ნივთებს და სიწმინდეებს დაუპყრეს საფრთხე ემუქრებოდა. საფიქრებელია, რომ ქართველებს პირველ რიგში ამ ნაწილების უხიფათო ადგილზე გადასახვევებლად ეზრუნათ და აი, ამ გზით უნდა დაეკრძალათ სიმონ კანანელის ნეშტი ანაკოფიის (ახალი ათონის) ერთ-ერთ ძველ ეკლესიაში. ამ გადმოსვენების შესახებ, – დასაკენის თამაზ ბერაძე – ცნობა ვახუშტი ბატონიშვილს უნდა ჰქონოდა, მაგრამ, ვინაიდან მისთვის უცნობი იყო ის ეკლესია, სადაც ქრისტეს მოციქულის ნეშტი დასვენეს, შეცდომით ასეთ ეკლესიად მან ბიჭვინთა მიიჩნია (იქვე: 109-110).

325 წელს, მცირე აზიის ქალაქ ნიკეაში მოწვეულ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდა ბიჭვინთის („ვიტუუნთას“) ეპისკოპოსი სტრატოფილე. „ეს ფაქტი უადრესი მნიშვნელობისა: როგორც ჩანს, ბიჭვინთაში IV საუკუნეში იმდენად ძლიერი ყოფილა საქრისტიანო ორგანიზაცია, რომ მას მსოფლიო კრებაზე თავისი წარმომადგენელიც კი გაუზღავნია“ (ყაუხჩიშვილი 1964: 64).

პირველი კარტოგრაფიული წყარო, სადაც ბიჭვინთა (peconda ფორმით) დასტურდება, არის XIII ს-ის ვენეციური რუკა (Гамбахариа, Гогиа 1997: 820-822).

ბიჭვინთის შესახებ ცნობები დატულია იაკობ რაინეგის მოგზაურობის ჩანაწერებში. მოგზაური შენიშვნავს, რომ შავი ზღვის მოზრდილ ყურესა და მყუდრო ნავსაყუდელში ძველად მდებარებოდა ქალაქი ბეზონტა, რაც ამჟამად ბიზონტისა და ბიჭვინთის სახელწოდებითაა ცნობილი. მოგზაური საუბრობს იმპერატორ იუსტინიანეს მიერ აშენებულ წმ. ანდრეას სახელობის ქვის მშვენიერ ეკლესიაზე და მასში დაცულ, თეთრი მარმარილოსაგან გაკეთებულ ბარელიეფზე ჯვარცმული ქრისტესი (რაინეგის 2002: 107). რაინეგის წერს, რომ რამდენიმე წელია ბიჭვინთას ეკლესიაც დამონი ჰქვია (იქვე), რაც სინამდვილეს არ შეეფერება. უნდა ითქვას, რომ იგი ხშირად შეცდომას უშვებს გეოგრაფიული სახელების გადმოცემისას.

„კაპეტის მდინარე“. ვახუშტის „აღწერის“ თანახმად, მდინარე, რაც ბიჭვინთის დასავლეთით მოედინება, არის კაპეტის („კაპეტის მდინარე“). ამ სახელწოდების მდინარე თანამედროვე აფხაზეთში ცნობილი არ არის, მაგრამ სწავლული ბატონიშვილის ცნობებისა და სხვა ისტორიული წყაროების საქართველოს თანამედროვე ზოგადგეოგრაფიულ რუკასთან შედარებით ისტორიკოსები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მდ. კაპეტის, რაც „ბიჭვინთის დასავლეთ დის“, ამჟამინდელი მდინარე ბიფიო ყოფილა.

ბიფიო სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე, ადრევე უღელტეხილთან. მდინარის სიგრძე 110 კმ-ია, აუზის ფართობი – 1510 კმ². მის მარჯვენა ნაპირას, ზ. დ. 45 მ-ზე მდებარეობს სოფელი და თემის ცენტრი ბიფიოს სახელწოდებით, რაც შავ ზღვას 7 კმ-ით, ხოლო გაგრას 16 კმ-ით არის დაშორებული. ბიფიოს თემში შემაჯავლი ერთი სოფელი „ბიფიადა“ იწოდება. ბიფიოს სათავესთან მდებარე კავკასიონის სამხრეთ გვერდითი ქედი თანამედროვე გეოგრაფიულ მენიურებაში ასევე „ბიფიოს ქედი“ სახელითაა ცნობილი. მისი უმაღლესი მწვერვალი კაპიშისტრა ანუ ხიმსა ზ. დ. 3156 მ სიმაღლეზეა (მარუაშვილი ქსე, II, 1977: 353).

ჩვენ მიერ დამოწმებული ილორის წმ. გიორგის ხატის წარმოებიდან (XVII ს. I ნახევარი) ირკვევა, რომ კაპეტის წყლის ნაპირას გამართულა ბრძოლა ოდიშის მთავარ ლევან დადიანსა და აფხაზ

თავადებს – მარშანიებს შორის. „კაპეტის წყლის“ ფორმით მდინარე აღნიშნულია 1737 წელს შედგენილ რუკაზე, და იქვე მითითებულია, რომ მდინარის „აქე ჯიქეთი“ მდებარეობდა (მათუყელი IX, 1949: 214; ბურჯანაძე I, 1959: 192).

მდინარეს „კაპეტის“ ფორმით იხსენიებს გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი და შენიშნავს, რომ კაპეტის შესართავის სამხრეთით მდებარე ბიჭვინთა წარმოადგენს სასაზღვრო ადგილს ჯიქეთთან (გიულდენშტედტი I, 1962: 325).

ამ მდინარეს იცნობს ნიკო დადიანიც. მისი დაკვირვებით აფხაზეთი მოქცეულია ანაკოფიასა და კაპეტის მდინარეს შორის (დადიანი 1962: 151). კაპეტის დასავლეთით ჯიქეთი იწყებოდა. ნ. დადიანი ფაქტიურად იმეორებს ვახუშტის მონაცემებს მდინარის დინების შესახებ და წერს: „ბიჭვინთის ... ქვემო სდის კაპეტის წყალი, გამოხდის ესე რაჭის მთას კავკასსა, გამოვლის სვანეთს, აღანსა და მას ქვეით კავკას შორისთა და მოეუთის აქა ჩრდილოდამ ზღვას“ (იქვე: 152).

ელუარდ აიხვალდი მიუთითებს, რომ კავკასიონზე, ხორჩას მთიდან გამომდინარე ხანიტა ანუ ხაპეტის-წყალი ერთვის ზღვას პიცუნდის ყურესთან, „ოლორდ სწრაფი დინების გამო სანაოსნოდ გამოუსადეგარია“ (აიხვალდი 2005: 222). ამასთანავე, მოგზაურმა იცის, რომ არსებობს მდინარე „ბიფიოს“ სახელწოდებით და შენიშნავს, რომ ჩერქეზები პატარა ნაგებობა დაცურავენ ბიფიოზე და მდინარის კლდოვან ნაპირებზე დამალულნი „ხელსაყრელ დროს თავს ესხმიან აფხაზეთს“ (იქვე: 222).

მაშასადამე, აიხვალდი აფხაზეთის უმთავრეს მდინარეთა ჩამონათვალში ასახელებს როგორც ხანიტას/ხაპეტის-წყალს, ისე ბიფიოს. თუკი ჩაეთვლით, რომ ვახუშტის „აღწერაში“ მოხსენიებული „კაპეტის“ სახელწოდება ფორმა „ხანიტა“ ანუ „ხაპეტის-წყალი“, მაშინ ელუარდ აიხვალდის ცნობა ეწინააღმდეგება ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე გამოთქმულ თვალსაზრისს „კაპეტის მდინარის“, „კაპეტის წყლისა“ და „ბიფიოს“ იგივეობაზე.

ფაქტია, რომ გერმანელი მეცნიერ-მოგზაური ერთმანეთისგან აშკარად განასხვავებს ამ ორ მდინარეს, რასაც მოწმობს კიდევ ერთი გარემოება: აფხაზეთის იცნობს აფხაზეთის ერთ-ერთ მხარეს სუბცის ანუ ბუიფის სახელწოდებით; ამასთანავე, აფხაზეთის მდინარეები ჩამოთვლილია შემდეგი თანმიმდევრობით: დალიტა, მარკულა, კოდორი, კელასური, გუმისთა, აფსთა, ხანიტა ანუ ხაპეტის-წყალი, მანში, ბიფიო და სევაქე (იქვე: 222). ჩამონათვალთან ჩანს, რომ აიხვალდი ხაპეტის-წყლის შემდეგ ასახელებს მდ. მანშის ანუ ამჟამინდელ მჭიშთას, და ამის შემდეგ საუბრობს ბუიფზე. მდინარეთა დინების თანმიმდევრობა და პირობებით იმდენად რუსტადაა გადმოცემული, რომ ჩანაწერებიდან დამოწმებული ცნობების სიზუსტეში ეჭვის შეტანა ზედმეტ სიფრთხილედ შეიძლება ჩაითვალოს. ფრიად საულისხმოა ის გარემოება, რომ XIX ს-ში შედგენილ ერთ-ერთ რუსულ-ენოვან რუკაზე აფხაზეთის მხარეში, კერძოდ, აფხაზეთა „ოკრუგის“ ტერიტორიაზე, მდ. გუმისთის მარჯვენა შენაკადს აწერია „ხაბოტა“, რაც, ჩვენი ფიქრით, სწორედ კაპეტის-წყლის ან ხაპეტის-წყლის ვარიანტი უნდა იყოს. რუსულენოვანი რუკის თანამედროვე რუკასთან შედარება ცხადყოფს, რომ ამ სახელს ატარებდა მდ. დასავლეთი გუმისთა, რაც ამჟამინდელი მდ. აღმოსავლეთი გუმისთის მარჯვენა შენაკადს წარმოადგენს.

ვახუშტის „აღწერას“ და რუკებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მას არასწორი წარმოდგენა აქვს კაპეტისწყლის სათავეს მდებარეობასა და დინების მიმართულებაზე. მისი ცნობა, რომ მდინარე „გამოსდის რაჭის მთას“ და „გამოვლის სვანეთს, აღანს“, რეალუბობისაგან ძალიან შორს დგას. თუკი ბიფიოსა და კაპეტის-წყლის იდენტურობის შესახებ გამოთქმული მოსაზრება მართებულია, მაშინ სწავლული ბატონიშვილის შეცდომა შემდეგში მდგომარეობს: იგი ბიფიოს სათავეში აერთიანებს ცხენისწყლის, ენგურის, კოდორისა და საკუთრივ ბიფიოს სათავეებს. ასეთივე შეცდომითაა მდინარე რუკაზე გამოსახული (ბერაძე 1998: 106); ეს მაშინ, როდესაც ცხენისწყალი და ენგური ფაქსისმთაზე იღებს

სათავეს, ხოლო კოდორი აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთი ტოტითაა გამოყოფილი ენგურის აუზისაგან. ცხენისწყლის სათავე სვანეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ფასისმთის დასავლეთითაა, ხოლო ბიფიოსა – კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე, ადრევე უღელტეხილის მახლობლად.

ჯიქეთი

ვახუშტი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის აფხაზეთის ჯიქეთის საისტორიო გეოგრაფიის საკითხებზე. საქართველოს ამ ისტორიული მხარის შესახებ მემკვიდრე წერს: „ხოლო ამ აფხაზეთს იქით, კაპეტის წყლის დასავლეთს, ბაგრატიონთ ჟამს აქეთ აქამომდე უწოდებენ ჯიქეთს, არამედ გორგასლის ცხოვრება უწოდებს ჯიქეთს ამ ჯიქეთის ჩდილოთ კერძოს, კავკასის მთის იქითს კერძს ზღუამდე. და ამ აწინდელს ჯიქეთს მზღვრის: აღმოსავლით კაპეტის წყალი; დასავლეთით შავი ზღუა; სამხრეთით იგივე ზღუა; ჩდილოთ კავკასი. და არს ადგილი ესე ყოვლითურთ აფხაზეთისა: მოსავლით და ცხოვლით, წესით და ქვეყითაცა. არამედ კაცნი უმეტეს მხვტო მგზავნი. ყოფილან პირველად ქრისტეანენი, არამედ აწ უცნობელნი მიხნი. გარნა იუწყე აფხაზეთს და ჯიქეთს სამოქალაქო ჩერქესთან, რომელთა ხნეთა ჟამად იმერნიცა ხმარობენ“ (ვახუშტი IV, 1973: 786-787).

ივ. ჯავახიშვილი ვრცლად მიმოიხილავს საქართველოს საზღვარს ჩრდილო-დასავლეთ ხაზზე (აფხაზეთ-ჯიქეთს) და აღნიშნავს, რომ ვახუშტის ეპოქაში (XVIII ს.) აფხაზეთსა და ჯიქეთს შორის საზღვარი შავ ზღვასა და კაპეტის წყალზე გადიოდა, ხოლო ჯიქეთის ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის ქედს გასდევდა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ლიხთიმურეთის 1732 წლის რუკის შემდგენელს კაპეტის წყალთან მიუწერია – „აქეთ ჯიქეთი“. მაშასადამე, ჯიქეთი მითითებულია კაპეტის წყლის ჩრდილოეთით (ჯავახიშვილი 1919: 4).

ვახუშტის მიერ 1735 წელს შედგენილი რუკისა და თანამედროვე რუკების მონაცემთა ურთიერთშეჯერებით ირკვევა, რომ სწავლული ბატონიშვილი ჯიქეთში გულისხმობდა ამჟამინდელ ვაგარის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას. მაგრამ ვახუშტის ისიც სცოდნია, რომ საკუთრივ ჯიქეთი, „ვახანზე გორგასლის ცხოვრების“ მიხედვით, ეწოდებოდა „აფხაზეთის ჯიქეთის“. ე. ი. აფხაზეთში შემავალი ტერიტორიული ერთეულის ჩრდილოეთით, „კავკასის მთის“ (დიდი კავკასიონის) „სასაზღვრო ხაზის“ მიმდებარე ტერიტორიასაც, შავ ზღვამდე.

ვახუშტისავე ცნობით, აფხაზეთისა და ჯიქეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, ლეონ II-ის მეფობის დროს მოყოლებული, „...ვიდრე ზღუამდე და ხაზართა მდინარემდე“ („ქ. ცხ.“ IV, 1973: 795), აფხაზეთის საერისთავოში შედიოდა. მაშასადამე, ჯიქეთის ერთი ნაწილი, კერძოდ, ტერიტორია მდ. აქუნტის (შახე) ნიკოფსიამდე, იმერეთ-კავკასიური ჯიქეთის შავი ზღვის სანაპიროზე გადმოსულან და თანდათან გაუფართოვებიათ თავიანთი ტერიტორია (ინგოროყვა 1954: 121; ხორავე 1998: 87).

ინგოროყვის მსჯელობით, აფხაზეთის ჯიქეთი ანუ ძველი ჩრდილო ჰენიოხეთი, რაც ადრე ჰენიოხთა მიწა-წყალს შეადგენდა, შემდეგ ჯიქეთის ხელში გადასულა და მოიცავდა ტუაფსის რაიონის ტერიტორიას, მდ. ახუნთადან (შახე) ნიკოფსიამდე. იმერეთ-კავკასიური ჯიქეთი „შავი ზღვის სანაპიროზე გადმოსულან და თანდათან გაუფართოვებიათ თავიანთი ტერიტორია (ინგოროყვა 1954: 125).

ჯიქეთის თავდაპირველი სამშობლოდ იმერეთ-კავკასიის მიწების დასამტკიცებლად პ. ინგოროყვა იმერეთს ჯუანშერის შემდეგ ცნობას „ქართლის ცხოვრებიდან“: „ჯიქნი დაემკდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“ (ჯუანშერი I, 1955: 157). აფხაზეთის ჯიქეთის (ძველი ჩრდილო ჰენიოხეთი) ცენტრს ქალაქი ნიკოფსია (უწინდელი „ლაზიკა“, არიანესეული „ძველი ლაზიკა“) წარმოადგენდა (იქვე: 125).

ილორ კეკელია, (გაგრძელება შემდეგ ნომერში)



(გაგრძელება 305-ე ნომრიდან)

გავიდა ერთი თვე, ოთხი საგანი ჩავაბარე, დამრჩა ერთი – ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. საგამოცდო ბილეთი გამომიწვევს დოც. ტრიფონ რუხაძეზე, მითხრეს, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლთა ტექსტების ცოდნას ითხოვს. გამოცდაზე გასვლას აზრი არ ჰქონდა, ასე ვფიქრობდი მე.

დეკანი შეიცვალა: ბატონი აღექსანდრე ბარამიძე ნიკო კეცხოველმა გადაიყვანა პრორექტორად სამეცნიერო დარგში, ხოლო დეკანად დანიშნეს (თუ აირჩიეს) უპაციოსნესი და ფრიად წესიერი ადამიანი, პროფ. ილია აბულაძე. მან გადაამისამართა აღექსანდრე ბარამიძესთან, ხოლო ამ უკანასკნელმა – ნიკო კეცხოველთან. განცხადებით ხელში შევიღვარ მასთან, თბილად მიმიღო, მომილოცა გადარჩენა, მომიხმინა, მეუბნება: ლექციები არ გააცდინო, დღესვე დაესწარი!

89-ე აუდიტორიაში ლექცია ჰქონდა ბატონ აკაკი შანიძეს ძველ ქართულ ენაში. ვიკითხე მეოთხე ჯგუფის ჯგუფხელი ოთარ ურიდია. მიმითითეს. გამოვეცნაურე სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდს, სოფელ ონტოფოდან, დედიტ ბანძელი, კეკელიას ქალის შვილი. იანვრის საგამოცდო სესია ჩემთვის წარმატებული აღმოჩნდა, ყველა საგამოცდო საგანი „ფრიადზე“ ჩავაბარე.

ჩანართი: 1947 წლის ოქტომბერში სხვიტორში უნდა გახსნილიყო აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი. ნიკო კეცხოველს დაუვალდებია ილია აბულაძისათვის შეერჩია 20-მდე სტუდენტი, რომლებიც აკაკი შანიძესთან, აღექსანდრე ბარამიძესთან, ვარლამ თოფურიასთან და პაპუნა წერეთელთან ერთად გაემგზავრებოდნენ სხვიტორს. ილიამ დაავალა ფაკულტეტის კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელს ოთარ ურიდიას. მან გამოკითხვის წესით, ვის შეეძლო წასულიყო, შეადგინა სია და მიუტანა დეკანს. ამ უკანასკნელმა მიუტანა რექტორს. ბატონი კითხულობს სიას და ეკითხება დეკანს, რას პავს ეს? ბატონი ილია მისთვის ჩვეული სიდიხით სვამს კითხვას: რა, რაიმე შეცდომა ხომ არ არის? ბატონი ნიკო კითხულობს: ქაჯაია, საჯაია, ქაჯაია, – ერთი ნერგილგეჯაია შვილი არ გეპავს ფაკულტეტზე? დეკანატში მე და ოთარ ურიდია ვვლოდებით ბატონ ილიას, ის ბრუნდება და გვიყვება ამ ამბავს.

ბატონმა ნიკომ ეს „ინციდენტი“ გაიხსენა პროფ. ილია აბულაძის იუბილეზე.

ერთ მშვენიერ დღეს ოთარ ურიდია მეუბნება, ბატონ ვარლამ თოფურიას ინიციატივით, იქმნება ქართველურ ენათა შემსწავლელი ჯგუფი და გსურს თუ არა, ჩაგვეწოდო ამ ჯგუფში. მე დავთანხმდი. საბოლოოდ ოთხმა სტუდენტმა (ელენე სურგულაძემ, ლიანა სისხარულიძემ, ოთარ ურიდიამ და მე – ოთარ ქაჯაიამ) გამოვიტოვე სურვილი ამ ჯგუფში გაერთიანებაზე. პროფ. აკაკი შანიძემ პირველად ჩვენთან წაიკითხა ლექციები ქართველურ ენათა შედარებით გრამატიკაზე, პროფ. ვარლამ თოფურია გაასწავლიდა ძველ ქართულ ენაში. დაგვიმლო იყო ღაზურის შესასწავლად სარფში, სადაც ოთარ ურიდიას უმცროსი და ღაზურ იყო გათხოვილი, გამგზავრება. სამწუხაროდ, ოთარ

ურიდიას ღაზი სიძე სამამულო ომში დაიღუპა.

ოთარ ურიდიამ გვაცნობა, ზაფხულში (ივლისი-აგვისტო) უნდა გაემგზავრებოდნენ ლიეპოვით მესტიაში სეზი გულდანიანთან სვანურის შესასწავლად. ოთხივემ ერთი თვე დავეყავით მესტიაში, ყოველდღე დავდიოდით მუზეუმში სეზისთან და ინტენსიურად ვმეცადინებოდა სვანურში. უპირიანად მიმჩნია აქ ჩავართო სეზის მიერ ჩვენადმი მოძღვნილი ლექსი:

ჩემს ძვირფასებს ოთარებს №1-სა და მეორეს, კულდაჭებს კუკურის და ლიას
ჩვენი ერთობის გაცნობა ექვსი დღით განისაზღვრება,
ექვსი დღეში ვეღარ გასწავლეთ სვანური ენის მოძღვრება.

ორნი ვაუნი ხართ, საღვთანი, ორნიც გაწოხილ ფრთიანი, მაგრამ მივხედა, რომ დარჩებით ყოველ დროს ადამიანი.

მეტი რაღა ვსთქვა, რა მეთქმის, ცრემლ ნარევი სიტყვის მეტია,
ჩემ ცოდვით ალბათ დაგწვევლით მუდამ მშვიერი მესტია.

რადგან თქვენ სტოვებთ ჩემს გულში სიყვარულს, ფას დაუდებელს, ვერც აღმოვიფხვრი გულიდან თუნდ შევეხვეწო ბელხებელს.

ერთს დაგავალდებთ შვილებო: და ყური უგდეთ ამასა:

თავისი შრომით ყოფნა სჯობს, სხვისი ქონების ჭამასა”.

მასთან სურვილიც იქნება: გვერდს უდგეთ მშობელ მხარესა;
და ზოგჯერ თვალ ყურს ავლებთ სვანეთის არე მარცხს.

გამიხარდებო: გამოხვედით ადამიანი სრულია;
თუ მშობელ მხარეს უმეტრით, ღვთისგან იყავით კრულია.

თქვენი წამების მნახველი კი არის ცალი თვალია,
მაგრამ გამხნევიდით, არ შედრკეთ, ასრულეთ თქვენი ვალია.

ცოტა სვანურსაც ჩაურეკე, და გეტყვი: „სონაღადაღსა“,
და არ ვხედავდეთ თქვენს შუბლზე სირცხვილის რაიმე შავ დაღსა.

თქვენი სები.

46 წლის 31 ივლისი.

გადმოწერილია ზუსტად, დედანი ინახება ჩემთან, – ო.ქ.

1946 წლის ოქტომბერი. ჯგუფს უნდა გაემგზავრებინა მეცადინეობა. ძველი ქართული ენის კათედრაზე მივედი ოთარ ურიდია და მე. ბატონმა აკაკიმ იკითხა: კულდაჭები სად არიან, რატომ არ მოვიდნენ? ოთარმა უპასუხა: ბატონო აკაკი, გოგოები დაგვიტოვებდნენ: ერთი (ელენე სურგულაძე) გააყვია საბჭოთა კავშირის გვირს, მფრინავ ინსანობის, ხოლო მეორე (ლიანა სისხარულიძე) – მახარადის რაიონის პროკურორს. გვაქვს ცნობა, ეს უკანასკნელი გადახვლას აპირებს დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე.

ბატონმა აკაკიმ ამ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ ჩაიჭინა ხელი და ბრძანა: მაშ გაგვიფრინდნენ?

ბატონმა ოთარ ურიდიამ და მე გავაგრძელებთ ამ ჯგუფში მეცადინეობა. 1947 წელს მეორედ ჩავედი მესტიაში, დავეწვარი თინათინ შარაშენიძისა და მისეხლ ჩართოლანის სვანურ ქორწილს. აქ დაესვა წერტილი ჩვენგან ამ დიდებულ საქმეს. ფრიად სასიამოვნო იყო, რომ ჩვენ მიერ დაწვებული საქმე ბრწყინვალედ გააგრძელეს მომდევნო თაობებმა.

უნივერსიტეტის დავამთავრე 1948 წლის მარტში. მიბარებეს ბატონი ვარლამი ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ვსაუბრობთ. მაძლევს ქაღალდს და მეუბნება: დაწერე განცხადება ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში უმცროსი მეცნიერმუშაკის თანამდებობაზე დროებით, 1 აგვისტომდე, ჩარიცხვის თაობაზე. განყოფილებაში მუშაობენ: ალი დავითიანი, ანტონ კიხრია, გრიგოლ იმნაიშვილი, არამ მარტიროსოვი. მათთან იქნებოთ თქვენც. თუ რაიმე იქნება გაუგებარი, მათ პკითხეთ. თუ საჭირო იქნება, ნუ მოგუკრიდებთ ჩემთან მოსვლა. დაუძახა მდივან-მემჩანკანეს და დაავალა ჩემი განყ

ოფილებაში წაყვანა. დილით მუშაობას ვიწყებთ 9.00 საათზე.

ახე აღმოვჩნდი ენათმეცნიერების ინსტიტუტში. ვიმუშავე 1 აგვისტომდე. განათლების სამინისტროს არ გაგუნაწილებია.

იმავე წლის ოქტომბერში ჩავირიცხე ასპირანტად ძველი ქართული ენის კათედრაზე, ხელმძღვანელად დამენიშნა პროფ. აკაკი შანიძე.

1951 წლის ნოემბერში უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის პირველმა მდივანმა ბახტაძემ ასპირანტურის პარტიული ორგანიზაციის დახურულ კრებაზე წავგიკითხა ცენტრალური კომიტეტის დახურული წერილი, რომელიც ეხებოდა „მეგრული ნაციონალიზმის“ ელემენტების გამოვლენას საქართველოში. დააბატმრეს ცეკას მეორე მდივანი მიხა ბარამია, ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი არჩილ ჩაჩიბაია, ფოთის ქალაქკომის მდივანი გრიშა კოკია, კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი მამია ზოდელავა და ა.შ. წესი იყო, დახურული წერილების მოსმენის შემდეგ, აუცილებლად უნდა გამოსულიყო პარტიის რამდენიმე წევრი, რომლებიც, რა თქმა უნდა, მოიწონებდნენ პარტიის ამ ღონისძიებას. ასეთ გამოსვლას, ალბათ, მოელოდნენ ჩემგანაც. მე კი დავსვი კითხვა: როდის გახდა მეგრული ხალხი ერი (ნაცია) და როგორ შეიძლება „მეგრულ ნაციონალიზმზე“ საუბარი. სეპარატიზმზე! კი ბატონო, არიან ერთეულები, რომლებიც იმყოფებიან რა ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ, ემხრობიან სეპარატიზმს. ამ ნაწილში ვერ გავიზარებ დახურული წერილის პათოსს. კრება დამთავრდა. შემდეგ გავიგებ რომ წერილი თითქოს ი. სტალინის მიერ იყო დაწერილი. ფაქტია, სტალინი 1951 წლის ზაფხულში ლიკანში შეხვდა თავის სიყრმის მეგობრებს: ეგნატაშვილს, ელისაბედაშვილს, კაპანაძეს, მათ ერთი დღე-ღამე ერთად ვაატარეს. ამბობდნენ, მეგრულეთთან დაკავშირებით აქტიურობდო ელისაბედაშვილი. ეს წერილი მიმართული იყო ლ. ბერეას წინააღმდეგ.

ფაქტი ერთია: საქართველოში აღდგა ორი ოლქი: თბილისისა და ქუთაისის, შეიქმნა პარტიის ორი საოლქო კომიტეტი და საოლქო აღმასკომი. ამით ბევრი დაზარალდა, მათ შორის, მე. დავამთავრე ასპირანტურა, შემიწყდა სტიპენდია, გამომასახლეს სტუდენტობიდან. თბილისში მეუბნებინა, სამუშაოდ წაითხოვე ქუთაისში, იქ – თბილისისკენ მიითხოვე. ერთი წელიწადი თითქმის მშვიერი ვმუშაობდი დისერტაციაზე.

1952 წლის 5 სექტემბერს ჩავედი სტალინში, დავიწყე მუშაობა ქართული და ოსური ენების კათედრაზე, გამეც იყო მაშინ დოცენტი, შოთა გაფრინდაშვილი, მას ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან ვიცნობდი.

ახე დაიწყო ჩემი 19-წლიანი მოღვაწეობა ოსეთში.

ერთხელ ერთ ოსს ვკითხე: ცხინვალს, ამ უძველეს ქალაქს, რატომ ეძახიან სტალინის? პასუხი: სტალინი ირონ „სტალინი ოსიაო“.

სტალინ-ცხინვალში მოღვაწეობის ცალკეულ მომენტებს გთავაზობთ მოგონებების სახით: ასე, მაგ., „გალაკტიონი სტალინში“ (ცხინვალში), „აკაკი შანიძე ცხინვალში“, „საბა-სულხან ორბელიანის იუბილე“ და ა.შ.

ჩანართი: „მეგრულთა შეთქმულება №2“.

1967 წლის ივლისი, ვმუშაობ ცხინვალში. ა.პ. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მიმწვიეს საათობრივი ანახაურების წესით დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისათვის წამეუბნა ძველი ქართული ენისა და დიალექტოლოგიის კურსები.

მირეკავს პროფ. აპოლონ ცანავა, მეუბნება, სასიხარულო ამბავი უნდა გაცნობო და უნდა შევხვედეთ. მე ვუთხარი, ლექციები მაქვს ბაქოს ქუჩაზე მდებარე 24-ე საშუალო სკოლის შენობაში, 4.00 საათზე გავთავისუფლდები და სადაც მეტყვი, იქ მოვალმეთქი. გავიდა რამდენიმე ხანი და მეუბნება, ჩვენ მოვალთო.

მოვიდნენ: აპოლონ ცანავა, ტოგო გულავა და გურამ კარტოხია. ტოგო გულავას ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან ვიცნობდი, ხოლო გურამ კარტოხიას – შორიდან.

ერთ-ერთ საკლასო ოთახში დავსხვდით. აპოლონ ცანავა ამბობს: დამიბარაო თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა, აკად. ილია ვეკუა და მითხრა: საჭიროა, მიგხედოთ მეგრულს, დაბეჭდვას მე ვიდებო ჩემს თავზე, თქვენ საჭირო მასალა

მომზადეთ, რაც შეიძლება ჩქარაო. უკვე მქონდა საუბარი ბატონ ტოგოსთან, შევთანხმდით, მეგრული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები შევარჩიოთ და ვთარგმნოთ. პირველი ტომი დაეთმო პოეზიას, მეორე – პროზას. ამ დროისათვის შენ, მომმართა მე, მოასწრებ, ალბათ, მეგრულ-ქართული ლექსიკონის მომზადებას, ხოლო გურამი ინტენსიურად იმუშავებს ღაზურ ენის ტექსტების მომზადებას და გრამატიკის საკითხების შემდგომ დამუშავებაზე. შევთანხმდით. უკვრად გამოვლვა აზრმა. ბიჭებო, მეგრულთა ეს მეორე შეთქმულება შეგვრჩება? ვიციინო.

შეგვრჩა. დაიბეჭდა: 1. ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია, თბ., 1975 წ.

2. ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანით), ტ. II, ზღაპრები და მცირე ჟანრები, თბ. 1991.

3. გურამ კარტოხია, ღაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, 2005.

4. გურამ კარტოხია, რუსუდან გერსამია, მია ლომია, თაია ცხადია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბ., 2010.

5. ოთარ ქაჯაია, მეგრული ქართული ლექსიკონი, ოთხ ტომად, 2001, 2009 წ.წ. და სხვ.

როგორც ვხედავთ, დასახული გეგმა წარმატებით შესრულდა.

1971 წელს. ა.ს. პუშკინის (შემდეგ საბასულხან ორბელიანის, ამჟამად ილიას) სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტის) ქართული ენის კათედრის გამგე, პროფ. აღექსანდრე ღლონტი ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მეუბნება: მოიტანე შტატი, სასწავლო დატვირთვა (საათები) მზად მაქვს, ჩავწერ ოთარ ქაჯაიას და დაიწყებ ლექციების კითხვასო.

მივიღვარ სამინისტროში. მინისტრმა, აკად. გიორგი ჯიბლაძემ თბილად მიმიღო. მიცნობდა სტუდენტობიდან, იცოდა, რომ ცხინვალში ჩემი საქმიანობა წარმატებული იყო, სწორი პოზიცია მეჭირა ოსებთან ურთიერთობაში, ოს ხელმძღვანელებისგანაც ჰქონდა დადებითი ინფორმაციები.

ბატონო გიორგი! საბჭოთა კავშირში გადსახლებლის უმადლესი ვადა არის ოცი წელი, ოსეთში ვიმუშავე 19 წელი, ერთი წელი მაპატიეთ და რიგით ჯარისკაცად გამომიყვანეთ თბილისში, ბავშვები წამოიზარდნენ, მამის მეტი ყურადღება სჭირდებოდათ. ამასთან, პუშკინში ქართული ენის კათედრაზე თავისუფალი საათები ბევრია.

გულიანად იცინა, შიდა ტელეფონით გამოიძახა კადრების სამმართველოს უფროსი დ. ქვლივიძე. ეუბნება: ერთი საშტატო ერთეული უნდა გამოიყვანოთ, გადავცეთ პუშკინის ინსტიტუტს, ოთარი უნდა გადმოვიყვანოთ. მთავრობის ტელეფონით უკავშირდება პუშკინის რექტორს, პროფ. გელა ბანძელაძეს. ეუბნება: გელა გაძღვეთ ერთ საშტატო ერთეულს და ცხინვალში უნდა გადმოვიყვანოთ ოთარ ქაჯაია ქართული ენის კათედრაზე. მესმის გელას პასუხი: ოთარის ვიცნობ, ასპირანტურაში ერთ დროს ვსწავლობდი, მე თანახმა ვარო.

ცხადდება კონკურსი. ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო ერთხმად მიჭერს მხარს. შემიქმნა პრობლემა: სამხრეთ-ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი პროფ. პავლე დოგუზოვი არ მათავისუფლებს. მიხვდით ორივეგან იყავო. ასეთი რამ მაშინ არ შეიძლებოდა. მე დავაყენებ საკითხს საოლქო კომიტეტის წინაშე გამოწაკლისის დაშვების თაობაზე. 1972 წლის აპრილის ბოლომდე არ მოაწერა ხელი ბრძანებას ჩემს განთავისუფლებაზე.

1972 წლის აპრილში შეიცვალა რექტორი, გელა ბანძელაძის ადგილი დაიკავა ნათელა ვასაძემ.

1972 წლის 4 სექტემბერს გამოცხადდა ინსტიტუტში. დავბრუნდი სახლში, მირეკავს კათედრის ლაბორანტი ქეთო ჩარკვიანი, რექტორი გიბარეშო. დღის მეორე ნახევარია. ებრუნდება ინსტიტუტში, შევდივარ რექტორთან. მაგიდაზე თვალი მოვკარი ჩემს პირად საქმეს. მთავაზობს ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობას. ვეუბნები: ქალბატონო ნათელა, ძალიან ჩამოვინ ჩემს მეცნიერულ საქმიანობას, უამრავი მასალა დამიგროვდა, დროა სისტემაში მოვიყვანო და სადოქტორო დისერტაციის სახე მივსცე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ირაკლი ალასანიას ჯაზური იმპროვიზაცია

ნაწევები გაზეთ „სამართლმლო“ და მსოფლიო“-ს ინტერვიუდან „თავისუფალი დემოკრატების“

ლიდერთან
ბაზემი: – არჩევნების წინ თქვენ ითვლებოდათ პრეზიდენტობის რეალურ კანდიდატად, თუმცა არც პრეზიდენტობის კანდიდატად დაგასახელეს და ვიცე-პრეზიდენტის პოსტსაც ჩამოგაშორეს. კლანური დაპირისპირების მსხვერპლი ხართ თუ ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატობას ნიშნავდა თავისთავად?

ირაკლი ალასანია: – ზოგადად პოლიტიკას მე სულ ვადარებ ჯაზს, რომელიც მუდმივ იმპროვიზაციებს ითხოვს და ქართული პოლიტიკაც ძალიან მრავალფეროვანი და მოულოდნელობებით აღსავსეა.

2013 წელი

ეს მერამდენად გვიქნევნ თითქმის შეერთებული შტატებიდან და ნატოდან, რომ მათ „ძაღლისშვილებს“ არ შეეხოს და ირაკლი ალასანიაც სწორედ იმას ცდილობს, რომ სააკაშვილზე უფრო მეტად გახდეს მათი „ძაღლიშვილი“, ამიტომაც ერჩის ასე „პრორუსულ“ ვექტორს. ვინ-ვინ და მან ხომ ძალიან კარგად იცის, რაც საქართველოში პროდასავლური „განწყობების კულტივაციაში“ აშშ-მა მილიონები ჩაყარა ბოლო ოცი წლის განმავლობაში, იმდენს რუსეთი კარგა ხანს ვერ დახარჯავს, სურვილიც რომ ჰქონდეს!

ნაციონალების გარდა, ალასანიას არ დაუტოვებია არც ცოლის მეჯვარე არც ბავშვობის მეგობრები და არც ნათელმთრინები, თავდაცვის უწყებასა და მასთან ახლო მდგომ სტრუქტურებში რომ არ დაესაქმებინა. მათგან ზოგი ერთგულ კოლეგას ყოფილი მოადგილე იყო, ზოგი – წინა ხელისუფლების დროს ბიზნესის დამტრორებელი, ზოგი მისი პარტიის აქტივისტი თუ ოფისმენეჯერი.

ირაკლი ალასანიას განცხადებები სულ უფრო ემსგავსება არშემდგარი დიქტატორის ან არშემდგარი სააკაშვილის რიტორიკას. თუ ის არ იქნება პირველი პირი, სულაც წარდგინას წაუღია ეს ქვეყანა! ოღონდ ერთიცაა: დალატის დიდოსტატ რესპუბლიკელებსაც არ უკადრებიათ ის, რასაც ალასანია კადრულაობს – ბიძინა ივანიშვილის უთავმოყვარეობაზე ლაპარაკის ის უჯობს, საკუთარ ბიოგრაფიას გადახედოს და ის მინც გაითვალისწინოს, სხვადასხვა დროს რა აქვს ნათქვამი და ნაკეთები...

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ალასანია არ ტყუოდა, როდესაც ამას წინათ განაცხადა, რომ მინისტრობისას აყენებდა საკითხს „პრორუსული“ მედიისა და სხვა ორგანიზაციების „გაპრესვის“ შესახებ და მაშინაც კონტრდაზვერვის განყოფილებას ლაშობდა: „ჩვენი მოწინააღმდეგეები შეეცდებიან, იმავე საზოგადოების შიგნით შექმნან ახალი განწყობები – კრიტიკული, სეპარტიკური ევროპული ინტეგრაციისკენ. საზოგადოებრივი განწყობის შექმნაზე გადავა აქცენტი ჩვენი მოწინააღმდეგეების მხრიდან. ამიტომაც, ძირითადად, ასეთ საფრთხეებს ვხედავ, კონტრდაზვერვით საფრთხეებს და, აქედან გამომდინარე, მთელი სახელმწიფო სტრუქტურები იქნება მოზიდლიზებული, რომ არ დაუშვას არც ერთ შემთხვევაში ასეთი განწყობების კულტივაცია“.

ირაკლი ალასანია არასოდეს შეუწყუებია იმას, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მაღალჩინოსნებმა 2012 წლის არჩევნების შემდეგ ასეულობით არასამთავრობო ორგანიზაცია და მედიაპორტალი შექმნეს, არც იმას, რომ „რუსთავი 2“ ძველკურად წამლავს საზოგადოებას. თუმცა ყველა ეს განცხადება ალასანიას სწორედ ამ ტელეკომპანიის ეთერში აქვს გაკეთებული, რომელიც შანსს არ უშვებს, სხვისი ხელითაც დაამციროს ხელისუფლება და

ყოფილი პრემიერი ივანიშვილი. არ შეაწყუებეს ეს ალასანიას, რადგან თავს „ნაციონალურ მოძრაობას“ მტრად რომ არ მიიჩნევს, არაერთხელ განუცხადებია.

ბევრი ითმინა ბიძინა ივანიშვილმა, მაგრამ ბოლოს მაინც თქვა: „სამწუხაროა, რომ ირაკლი ალასანია და მისი პარტია ნელ-ნელა არგუმენტებზე უარს ამბობენ და მათი გამონათქვამები „ნაციონალური მოძრაობის“ რიტორიკას ემსგავსება. პირადი პატიმრები, რომ ამბობენ, რა მქონდა ირაკლი ალასანიასთან პირადული? კონკურენტად რომ აღვიქვამდი, ამ განცხადებას მხოლოდ იუმორით თუ ვუპასუხებ – კონკურენტის იმდენად მეშინოდა, რომ თანამდებობა სწრაფად დავტოვე?! რამდენად საინტერესო იყო ეს პოსტი ჩემთვის და რამდენად ვეჭვიდავებოდი პრემიერობას, ეს ჩემი ქმედებებით კარგად აიხსნება. თანაგუნდელებმა და მთავრობის წევრებმა კარგად იციან, ალასანიას რისთვის ვაკრიტიკებდი... წავიკითხე ირაკლი ალასანიას ორი ინტერვიუ, რომლებიც ბოკერას განცხადებებისგან არაფრით განსხვავდებოდა. ისიც კი ვიფიქრე, ალასანიას სიტყვა ბოკერაზე ხომ არ დაუწერა-მეთქი“.

არც ეგ ვაგვიკვირდება, ბატონო ბიძინა, – ირაკლი ალასანიას ახლო ურთიერთობები ყოფილ მმართველ გუნდთან იმთავითვე ცნობილი იყო. ასეთები სხვებიც გვახსოვს კოალიციაში, მაგრამ ახლა რაღა დროს ამას ვლაპარაკობ? გასაკვირი მხოლოდ ის არის, რომ სხვა სიტუაციაში „კანონმორჩილი“ ალასანია ყველაზე მეტად სწორედ თქვენ გერჩით და გეპაექრებათ. აბა, ვნახოთ, როგორ ამართლებს იგი თავის დამარცხებას ზუგდიდის არჩევნებში (თბილისის მერის არჩევნებში რომ უფულისკა მიულოცა გამარჯვება, ამას ვეუბნებ ვილაპარაკებო):

„პრაქტიკულად, ზუგდიდში ჩვენ მოვიგეთ არჩევნები, მაგრამ ჩვენ ვაშენებთ სამართლებრივ სახელმწიფოს და რა გადაწყვეტილება მიიღო საარჩევნო კომისიამ, ჩვენ, როგორც კანონმორჩილი მოქალაქეები, უნდა დავემორჩილოთ. რა თქმა უნდა, უსამართლოების განცდა გვაქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ განცდას გადავავლოთ სახელმწიფო ინტერესები“.

ახლა რაღა დაავიწყა სახელმწიფო ინტერესები? ან იქნებ ივანიშვილი ცესკოზე დაბალი დობე ჰკონია? არა, უბრალოდ, მან ძალიან კარგად იცის, რომ მისი პროდასავლური და პრონატორი რიტორიკისა და ანტირუსული გამონათქვამების წყალობით, რაც უნდა ჩაიდინოს, „იქიდან“ დაიცავენ. ავი ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა, ამერიკელმა კონგრესმენმა მიკელ ტერენერმა ახლახან „ინტერპოლს“ მოუწოდა, არ დაკამათებოდა საქართველოს პროკურატურის მოთხოვნა მიხეილ სააკაშვილზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადებაზე.

„ინტერპოლი, როგორც მსოფლიოს უდიდესი საპოლიციო ორგანიზაცია, ასრულებს მნიშვნელოვან როლს, რომ დაცულ იქნას კანონის უზენაესობა, სამართლიანი პროცესის შემადგენელი ფუნდამენტური უფლებები და განმტკიცდეს მიუკერძოებელი მართლმსაჯულების სისტემა. „ინტერპოლის“ კონსტიტუციის შესაბამის მუხლი ეძღვნება სწორედ აღნიშნულ პრინციპებს და მკაცრად უკრძალავს თქვენს ორგანიზაციას, ჩაერთოს პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური და რასობრივი ხასიათის საქმეებში.“

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებები საქმიანობაზე მედიასში გაერო-სეკურული ინფორმაციის მიხედვით, აგრეთვე, ეუთოს სასამართლო პროცესების მონიტორინგის 2014 წლის დეკემბრის ანგარიშის გათვალისწინებით, ვშიშობ, რომ მოთხოვნამ – ინტერპოლმა მიიღოს გარკვეული ზომები პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ, მართლმსაჯულების პრინციპების განმტკიცების ნაცვლად, შესაძლოა, გამოიწვიოს მათგან გადახვევა, – წერს ტერენერი.

ეს მერამდენად გვიქნევნ თითქმის შეერთებული შტატებიდან და ნატოდან, რომ მათ „ძაღლისშვილებს“ არ შეეხოს და ირაკლი ალასანიაც სწორედ იმას ცდილობს, რომ სააკაშვილზე უფრო მეტად

გახდეს მათი „ძაღლიშვილი“, ამიტომაც ერჩის ასე „პრორუსულ“ ვექტორს. ვინ-ვინ და მან ხომ ძალიან კარგად იცის, რაც საქართველოში პროდასავლური „განწყობების კულტივაციაში“ აშშ-მა მილიონები ჩაყარა ბოლო ოცი წლის განმავლობაში, იმდენს რუსეთი კარგა ხანს ვერ დახარჯავს, სურვილიც რომ ჰქონდეს!

სააკაშვილი რომ სწორედ იყო, ისიც იდეურ თანამშრომლობაზე დებდა ფსონს და არა ფულით მოსყიდვაზე. ესეც ჩინებულად უნდა იცოდეს ირაკლი ალასანიამ, მაგრამ „იქ“ – დასავლეთში საამოდ ჩაესმით მისი ამგვარი რიტორიკა და ისიც გაკვირვებულ გახდა დააღება. ისე, ჩვენში დარჩენს და, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის მიმართ, რომ წაიკითხავ, უნდა გაგიკვირდეს ანტიდასავლური განწყობილებები? ან ერთი შემთხვევა თუ ყოფილა, რომ რუსეთს მოეთხოვოს ჩვენგან ვინმეს დაჭერა-გაშვება?

ახლა იმაზე, როგორ გათავისუფლდნენ თავდაცვის სამინისტროდან „დასავლეთში განათლებული კადრები“ და როგორ უშვებს ახალი მინისტრი სამსახურიდან კადრებს „ახლობლებისა და ნაცნობობის გამო“.

მთავრობის ბოლო სხდომაზე საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა პირველად გააკეთა კომენტარი ამ საკითხზე: „თავდაცვის სამინისტროში წლების განმავლობაში დავით კეზერაშვილისა და ბაჩანა ახალაიას კადრების დაწინაურება ხდებოდა. სამწუხაროდ, კეზერაშვილისა და ახალაიას გუნდის წევრები არათუ დააწინაურეს, არამედ უცხოეთში გააგზავნეს სასწავლებლად. ეს არის სირცხვილი“.

თუმცა, როგორც ირკვევა, ნაციონალების გარდა, ალასანიას არ დაუტოვებია არც ცოლის მეჯვარე არც ბავშვობის მეგობრები და არც ნათელმთრინები, თავდაცვის უწყებასა და მასთან ახლო მდგომ სტრუქტურებში რომ არ დაესაქმებინა. მათგან ზოგი ერთგულ კოლეგას ყოფილი მოადგილე იყო, ზოგი – წინა ხელისუფლების დროს ბიზნესის დამტრორებელი, ზოგი მისი პარტიის აქტივისტი თუ ოფისმენეჯერი.

სხვათა შორის, ჯერ კიდევ თავდაცვის მინისტრობისას იმპაინდელმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა მას პირდაპირ მიუთითა ქართული ჯარის კვებაში საჭკვო სქემების არსებობის თაობაზე. დღეს ივანიშვილი იხსენებს: „თანაგუნდელებმა და მთავრობის წევრებმა კარგად იციან, ალასანიას რისთვის ვაკრიტიკებდი. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე მეითხეს, ჯარში ჯარისკაცები სისტემატურად იწამლებიანო. მაშინ საჯაროდ დავპირდი, პროკურატურას დავავალე გამოძიებას-მეთქი. ამის შემდეგ მთავრობის სხდომაზეც რამდენჯერმე ვთქვი და ალასანიას ისე მივანიშნე, რომ პროკურატურისგან არაფერი მომიტოვია. ისევე ალასანიას ვუბნებოდი, როგორმე მოახერხე, შენ გყავს შენი ჯგუფი და, თუ ძმა ხარ, როგორც შეგიძლია, ვითარება იქნებ დალაგა-მეთქი“.

რა თქმა უნდა, სააკაშვილისა და მისი ბანდის მიერ შემუშავებული კორუფციული სქემით გამდიდრებული ევროამერიკელები ღიად უჭერენ მხარს მართლაც გამოლენებულ სააკაშვილს, მაგრამ მას მაინც ვერ ეიდრნება საქართველოში თავისუფალ მოქალაქედ დაბრუნება და მხოლოდ ციხის გისოსებიდან თუ იხილავს ჩვენი სამშობლოს მშეს. ახლა კი, როცა ამერიკელებმა პოროშენკოს ძალით დააინშინეს ეს სულელი მრჩეველად საერთაშორისო საკითხებში, თავის მომხრე პროვოკატორებს იმით ამშვიდებს, რომ რუსეთი მალე ჩამოიშლება და მთელი ამოკავკასია ჩვენ დაგვრჩება.

ნაღდად ღენია, ეს შობელია კადლი! მაგრამ, ქართველები მაინც ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან დიდი ფულისა და პოლიტიკური გავლენის წყალობით ეს ღენი დაშნაკი ერთხელ თუ წამოგვასკუპებს თავზე ფულს დახარბებულმა ევროამერიკელმა არამზადებმა, გამოიციხული არ არის, საქართველოსადმი მტრულად განწყობილი პოლიტიკურმა წრეებმა კვლავ მოისურვონ მისი ხელმეორედ გაპრეზიდენტება!

ეს კი საქართველოს საბოლოოდ დაქვევას მოასწავებს! დიახ, ჩვენზეა დამოკიდებული ჩვენი ბედი!

როლანდ ჯალაღანი, "აია"-ს და "ფაზისი"-ს აკადემიების წევრი

“თამარ მეფე სიმსივნით ბარდაიცვალა?”

რა წერია ძველ რეცეპტში, რომლითაც XII საუკუნეში კიბოს მკურნალობდნენ



რა სნეულებით გარდაიცვალა თამარ მეფე და როგორ მკურნალობდნენ მას? ეს თემა ისტორიკოსებისა და მეცნიერებისთვის ერთნაირად საინტერესოა. ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ექიმმა-ჰომეოპათმა პანა სებასტიანოვიჩმა ისტორიულ წყაროებში მნიშვნელოვან ინფორმაციას მიაკვლია და თამარ მეფის გარდაცვალების თაობაზე საინტერესო ვერსიას შემოგვთავაზა:

– ისტორიკოსებისთვის დაუდგენელ თემად რჩება, თუ რით გარდაიცვალა თამარ მეფე. ბევრი მიიჩნევს, რომ თამარ მეფის გარდაცვალების მიზეზი ავთვისებიანი სიმსივნე იყო. ისტორიულ წყაროებში მოცემული აღწერილობის მიხედვით, თამარ მეფეს ავადმყოფობისას აღენიშნებოდა სისუსტე, “ლაწკების ჭკნობა”, წონაში მკვეთრი კლება და ორივე თვალის გარშემო სიშავე. ამ სიმპტომებიდან გამომდინარე, მისი სიმსივნით გარდაცვალების ვერსიის მჯერა. ამ მოსაზრების მოწინააღმდეგე იმ ამტკიცებენ, რომ თამარ მეფის დროინდელ საქართველოში სიმსივნე ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ გავრცელებული. ეს კი ნამდვილად არ არის მართალი. თითქმის 30 წელზე მეტია, რაც მეცნიერულად ვიკვლევ ძველი ქართული მედიცინის საკითხებს და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ძველ საქართველოში სიმსივნური დაავადების თემა საკმაოდ აქტუალურია. მეტიც, უძველეს სამედიცინო წყაროებში წავაწყდი სიმსივნის მკურნალობის ძველ ქართულ მეთოდს, რომლითაც ჩემი აზრით, თამარ მეფესაც მკურნალობდნენ.

- რა მეთოდი ეს?
- ძველ ქართულ წყაროებში სიმსივნის საწინააღმდეგო წამლის დამზადების ძალიან პოპულარული რეცეპტია აღწერილი, რომელიც საკმაოდ გავრცელებული იყო XII საუკუნეშიც. ამ დაავადებას “კირჩხიბს” უწოდებენ. მაგალითად, X საუკუნის უნიკალურ ნაშრომში “უსწორო კარაბადინი” ეს სნეულება სწორედ ამ სახელწოდებით არის ცნობილი. შეიძლება სიმსივნის სახელწოდებაც “კიბო” აქედან მოდის. სხვა წყაროების მიხედვით კი კიბოს “კაეშანსა” და “არამს” უწოდებდნენ. აქედან მოდის გამოთქმაც, არმად შეგეროსო.

სიმსივნის საწინააღმდეგო წამლის დამზადების ძალიან პოპულარული რეცეპტია აღწერილი, რომელიც საკმაოდ გავრცელებული იყო XII საუკუნეშიც. ამ დაავადებას “კირჩხიბს” უწოდებენ. მაგალითად, X საუკუნის უნიკალურ ნაშრომში “უსწორო კარაბადინი” ეს სნეულება სწორედ ამ სახელწოდებით არის ცნობილი. შეიძლება სიმსივნის სახელწოდებაც “კიბო” აქედან მოდის. სხვა წყაროების მიხედვით კი კიბოს “კაეშანსა” და “არამს” უწოდებდნენ. აქედან მოდის გამოთქმაც, არმად შეგეროსო.

– საინტერესოა, ძველ ქართულ მედიცინაში აღწერილი ეს რეცეპტები და მკურნალობის მეთოდები რამდენად ეფექტიანი იყო.

– ამ ცოდნას დღეს “ველურ დაკარგულ მეთოდებს” უწოდებენ.

– რატომ ვეღურს?

– იმიტომ, რომ მათში, თავის დროზე, იყენებდნენ ისეთ ნედლეულს, რომელიც დაკარგულია და დღეს ისევ რომ ჩავრთოთ მკურნალობის კურსში, ბევრმა შეიძლება ვეღურობად აღიქვას. მაგალითად, ჩვენამდე არის მოღწეული რამდენიმე “კარაბადინი”, სადაც ღვიძლის კიბოს სამკურნალოდ ადამიანს ახალდაკლული ქათმის ღვიძლს ატყევენ. ამას ვეძახით ველურ მეთოდებს ქართულ ტრადიციულ მედიცინაში, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ზოგჯერ ამგვარ მკურნალობას ჩვენი წინაპარი გარანტირებული სიკვდილისგან ვაღაურჩენია. დღეს კი, XXI საუკუნეში, იგივე მეთოდი ვეღარ არჩენს... ალბათ, იმიტომ, რომ ამ დაკარგული მეთოდების შესწავლა და გაანალიზება ჯერჯერობით სწორედ ან სრულად არ მომხდარა.

“კირჩხიბის” მკურნალობის კველი რეცეპტი

25 ცალი კიბორჩხალა კარგად უნდა გავრეცხოთ გამდინარე წყალში და ჩავაწყოთ სამლიტრიან თიხის ქილაში. დავასხათ არაყი და დავაყენოთ 30 დღის განმავლობაში. ჭურჭლის შიგთავსი ყოველდღიურად, 2-3-ჯერ მაინც შევანჯღრიოთ. ერთი თვის შემდეგ არაყი სხვა ჭურჭელში გადავიტანოთ, ხოლო კიბო გავახმოთ, დავაქუცმაცოთ და მისგან ფხვნილი მოვაშხადოთ. ამ ფხვნილს დაახლოებით ერთი ჩაის კოვზის ოდენობით ყრიდნენ იმ არაყში, რომელშიც კიბო ეწყო. ძველ ქართულ წყაროებში ის აღარ არის აღწერილი, თუ რამდენჯერ უნდა მიეღო პაციენტს ეს წამალი, მაგრამ ფაქტია, ამ რეცეპტს ადრე ფართოდ იყენებდნენ ავთვისებიანი სიმსივნეების სამკურნალოდ.

მ. ასათიანი

სააკაშვილმა უკრაინაში ტელედაჯერებში დაიწყო, როგორც თავისი კრედიტობისას – საქართველოში: უკრაინის საუპითუსო ონკოლოგი, სკალპელით ხელში, პირდაპირ ოპერაციის დროს ბარემ გააბღუს!

სიმსივნის ნაციონალური ინსტიტუტის დირექტორი იგორ შნეპოტინი სამუშაოს ჩამოაშორეს: ოპერაციის მიმდინარეობისას, სკალპელით ხელში გარეთ გააბღუს, ვითომდა იმიტომ, რომ პროფესორს კონტრაქტი დაუმთავრდა.

შეიძლება შევასხვებოთ, რომ უკრაინის ჯანდაცვის მინისტრი სააკაშვილის კადრი – საქართველოს ყოფილი ჯანდაცვის მინისტრი, მეთოდისტების რელიგიური სექტის ყოფილი ხელმძღვანელი, იუსუიტთა ორდენის კავალერი ალექსანდრე კვიტაშვილია.

პროფესორის სამსახურიდან გათავისუფლების მოწვევით შეიქმნა პაციენტის ნათესავები, რომელიც ქირურგის საოპერაციო მაგიდაზე იმყოფებოდა. მათი თქმით, როგორც კი ოპერაციისთვის ყველაფერი მომზადდა, ექიმს თავისი სამუშაოს შესრულება უნდა დაეწყო. ამ დროს საოპერაციოში შეიჭრნენ და პროფესორს აცნობეს, რომ ის გათავისუფლებულია და საოპერაციო უნდა დატოვოს.

პროფესორი გავიდა, ხოლო პაციენტი მაგიდაზე დარჩა. ოპერაციის გაგრძელება სხვა ქირურგს მოუწია, რომელიც პაციენტის შემთხვევას არ იცნობდა. თავად იგორ შნეპოტინმა მომხდარს თეატრალიზებული წარმოდგენა უწოდა, ვინაიდან დღის თათბირზე მისთვის არავითარი ბრძანება არ გადაუციათ: „კამერაზე ექიმისათვის ისინი მზად არიან საოპერაციოში შეიჭრნენ და იქიდან უბრალოდ გამოაძევიან ექიმი!“

გათავისუფლება მიმდინარეობდა ტელეკამერის ფონზე (საკაშვილის ჩვეული პრაქტიკა მისი პრეზიდენტობისას, როცა ე. წ. ტელედაჯერები, როგორც ამ სპეცოპერაციებს

საქართველოში უწოდეს, სააკაშვილის ტელეკამპანია „რუსთავი 2“-ის ტელეკამერების თანხლებით ხორციელდებოდა).

ჰოდა, უკრაინელებო – სააკაშვილი გინდოდით და მიიღეთ კიდევ! არადა, თქვენ საქინფორმი გაფრთხილებდით... თუმცა, ჯერ სადა ხართ!

საქინფორმი

P.S. ამა წლის 26 თებერვალს კიევის ცენტრში გაიმართა პეტრე პოროშენკოს მთავრობის კანონსაწინააღმდეგო საქმიანობით აღშფოთებული უკრაინელების საპროტესტო მიტინგი, რომელიც დაუნდობლად დაარბიეს უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრ არსენ ავაქოვის ზონდერებმა. მაგრამ ხალხის საპროტესტო განწყობის ძალისმიერი მეთოდებით ჩახშობას რომ სასურველი შედეგი ვერ მოაქვს, ეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ანალოგიურ მაგალითზე დასტურდება.

უეჭველია, რომ “მაიდანელთა” მიერ გაცემული უკრაინელთა საპროტესტო განწყობა კიდევ უფრო გამძაფრდება სააკაშვილისა და მისი ბანდის მიერ “მტკივნეული” რეფორმების გატარების შედეგად, რაც უკრაინის კეთილდღეობისაკენ კი არა, კორუფციის მოძალეებით, ერთ მუჭა უკრაინელ პოლიტიკურ ავანტურისტთა გამდიდრებისაკენ იქნება მიმართული. სხვა გამოცდილება სააკაშვილსა და მის კრიმინალურ ნაცბანდას არ გააჩნია.

აი, მაშინ კი ნამდვილად ახდება ბიძინა ივანიშვილის ავი წინაწარმეტყველება: “საკაშვილმა და დამნაშავე ნაცებმა საქართველოდან კი გაასწრეს, მაგრამ უკრაინიდან ნამდვილად ვერ გაასწრებენ!”



ნიკა გვარამია ალიარა, რომ ფარულ მოსმენებს პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლისთვის იყენებდნენ

“ჩვენც ვიყენებდით ამას პოლიტიკურ ოპონენტებთან საბრძოლველად და ეს არის ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც პირადად მე დამიშვია. მე არ მიმიღია ამის გადაწყვეტილება, მაგრამ მე ვყოფილვარ ამის ნაწილი და ამისთვის ხელი არ შემიშლია, როგორც მინიმუმ და ეს ამ ხელისუფლების უმძიმესი შეცდომაა არის.”

“რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია Forbes Georgia-სთან ინტერვიუში, იმ პერიოდზე ლაპარაკობს, როდესაც ის გენერალური პროკურორის მოადგილე იყო. გვარამია მისი თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში წარმოებულ ფარულ მოსმენებზე აკეთებს კომენტარს და აღნიშნავს, რომ ეს არის ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც პირადად მას დაუშვია.

კითხვაზე, იყენებდა თუ არა წინა ხელისუფლება ფარულ მოსმენებს პოლიტიკურ ოპონენტებთან საბრძოლველად, – გვარამიამ უპასუხა: “ჩვენც ვიყენებდით ამას პოლიტიკურ ოპონენტებთან საბრძოლველად და ეს არის ყველაზე დიდი

შეცდომა, რომელიც პირადად მე დამიშვია. მე არ მიმიღია ამის გადაწყვეტილება, მაგრამ მე ვყოფილვარ ამის ნაწილი და ამისთვის ხელი არ შემიშლია, როგორც მინიმუმ და ეს ამ ხელისუფლების უმძიმესი შეცდომაა არის. ამ ხელისუფლებამ ხომ იცის, რომ წინა ხელისუფლების მთავარი პრობლემა ეს იყო? ზუსტად ამ რიტორიკით არ გაუშვებს ის ხელისუფლება? ამ ხელისუფლების პასუხისმგებლობა გაცილებით დიდია. მათ თვალწინ აქვთ კონკრეტული მაგალითი – ისტორიული კი არა, გუშინდელი დღის. ეს იყო უმძიმესი შეცდომა.”

მისი თქმით, მას შეეძლო ამ პროცესისთვის ხელის შეშლა.

“კი, შეეძლო. მგონია, რომ შეეძლო. ყოველ შემთხვევაში რაღაც კორექტივების შეტანა მაინც შეეძლო. იმის არგაკეთება მაინც შეეძლო, რაც მე თვითონ გამოკეთებია და არ იყო მთლად სწორი. მე არ ვამბობ, რომ ამით კანონს ვარდევდი, არა! არც ერთხელ არ დამირღვევია კანონი, და ყველა ის მოსმენა, რომელიც გამოკვეთდა, კანონიერად იყო მოპოვებული. მაგრამ მიზანი ყოველთვის არ ამართლებს საშუალებას. ეს საშუალებები არ უნდა

ყოფილიყო გამოყენებული. ამან გარკვეული სიკეთე მოიტანა, მაგრამ სიკეთეზე მეტი მოიტანა პრობლემები. ჩვენ ვნახეთ, რომ ამან გარკვეულწილად გარყვნა სახელმწიფო მანქანა და უკანონო მოსმენების ტრადიციას ხელი შეუწყო. დღეს ვხვდებით, მაშინ უნდა გვეფიქრა, რომ ჩვენი ქმედება უკონტროლო პროცესებს გამოიწვევდა და უკონტროლო პროცესებს ყოველთვის უნდა ერიდო, მათ შორის შენი კანონიერი, სწორი, ლოგიკური და ლეგიტიმური ნაბიჯებითაც კი ამას ხელი არ უნდა შეუწყო.” – ამბობს გვარამია, ხოლო კითხვას: – ყველა პოლიტიკურ ოპონენტს უღებდნენ და უსმენდნენ? – ასე უპასუხა: “არა, თქვენ უკვე იმაზე საუბრობთ, რაშიც მე მონაწილეობა არ მიმიღია. პოლიტიკური ოპონენტების მოსმენა არ არის კანონიერი და ლეგიტიმური. უნდა გუხმინოთ დანაშაულის თანამონაწილეს ან პოტენციურ თანამონაწილეს – სადაც მაღალი ალბათობაა დანაშაულის, თუნდაც ეს იყოს პოლიტიკოსის მონაწილეობით. შეიძლება ეს არ დადასტურდეს და უნდა შეწყვიტოს მოსმენა. უნდა განადგურდეს მოსმენის ყველა მასალა, მაგრამ პოლიტიკური ოპონენტების მოსმენა

არანაირ სამართლებრივ ნორმაში არ ჯდება. და არა მარტო პოლიტიკოსების – ნებისმიერი ადამიანის, თუ არა გაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ის დანაშაულს სჩადის. დანაშაულსაც რომ სჩადიდეს, მისი პირადი ცხოვრების ამსახველი მასალები აუცილებლად უნდა ნადგურდებოდეს. პიკანტური სცენების გადაღებას არავითარი ფასეულობა არა აქვს, იმიტომ ამის გადაღება არ შეიძლება ნებისმიერ შემთხვევაში. მე საერთოდ ძალიან სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ ვაყენებ იმ ადამიანების ფსიქიკას, ჯანმრთელობას, ვისაც ასეთი რამის გადაღების ბრძანება გაუცია და გადაუღეს. არა მგონია, რომ ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანებს შეუძლიათ ადამიანების სექსუალური ურთიერთობების გადაღება, მიყურადება და ბრძანების გაცემა, რომ ეს უნდა გაკეთდეს. რა თქმა უნდა, ბრძანების გამცემი უფრო მძიმედ არის, ვიდრე შემსრულებელი. შემსრულებელი ტექნიკური პირია და ის არ ამოწმებს ბრძანების შინაარსს. იმიტომ ეს, გარდა კანონდარღვევისა, ეთიკურ და ფსიქიკურ პრობლემებთანაც უნდა იყოს კავშირში, ჩემი აზრით, სამწუხაროდ.”

უკრაინაში სააკაშვილის ჯაშუშოვანია დაიწყო – უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა გამოააშკარავა ჯაშუშური ქმელი „ბაბა ლენა“ მეთაურობით...

უკრაინის უსაფრთხოების სამსახური აგრძელებს „აქტიურ ბრძოლას დივერსანტებთან“, „ჯაშუშებთან“ და „ხალხის მტრებთან“. ამჯერად უკრაინის უსაფრთხოების სამსახურში განაცხადეს, რომ უწყების თანამშრომლებმა გამოააშკარავეს „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ჯაშუშთა ქსელი“. ცნობაში ნათქვამია, რომ „ჯაშუშები ავტომატურად ინფორმაციას „ბოლშევიკებისათვის“ იმ მიზნით, რომ მათ ჰქონდეთ იერიშის მიტანის საშუალება მარიუპოლის რაიონში უკრაინის შეიარაღებული

ძალების პოზიციებზე. უკრაინის შეიარაღებული ძალების საიტი ვეამცნობს, რომ „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ჯაშუშური ქსელის მთავარი მოქმედი პირია ვინმე „ბეზია ლენა“, რომელიც თითქოსდა მთელი ჯაშუშური მუშაობის კოორდინირებას ახდენდა. უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ცნობიდან: „ბეზია ლენა“ ახდენდა მარიუპოლში ინფორმაციის კოორდინირებას დონეცკიდან. ის ცინიკურად იყენებდა მოზარდს უკრაინის ჯარ-

ბის განლაგების შესახებ ინფორმაციის მისაღებად“. უსაფრთხოების სამსახურში განაცხადეს, რომ „ჯაშუშური ქსელის“ წარმომადგენლები, რომლებიც ტერორისტული ჯგუფის შექმნაში არიან ექვმიტანილი, დააკეზებული არიან.



მწერალ ნოდარ წულუისკირის სიტყვა, წარმოთქმული მწერალთა კავშირში, 1978 წლის 9 აპრილს

...ვიდრე კონსტიტუციის პროექტზე ვილაპარაკებდე, მინდა ნათელი მოვფინო მწერალთა კავშირის მდივნის გიორგი კორკოლიანისა და ჩემს დამოკიდებულებას. ორჯერ გამოვიდა გიორგი კორკოლიანი ჩემს წინააღმდეგ, მწერალ კავშირში და დამრიგებლური, დინჯი ტონით, ცოტა ქედმაღლურად, ცოტა ირონიულად, ჩემს მოსაზრებებს დაუპირისპირდა, ყველა პასუხზე საბოლოო ამომწურავი პასუხი გამცა...

კერძოდ, როცა მე ზვიად გამსახურდიას დასაცავად გამოვედი, მან საპასუხო სიტყვაში ზვიადს ვაუკაცობა დაუწუნა, – თუკი მწერალთა კავშირის წევრებს არ ვასრულებთ, ვაუკაცობა უნდა გვეყოს და წავიდეთ მწერალთა კავშირიდან – დაახლოებით ასე ბრძანა.

ეს კიდევ არაფერი, ბატონო გიორგი, თქვენ ნახევრად ცინიკური, ირონიული დამოკიდებულება გაქვთ მწერალთა კავშირის წევრებისადმიც, ხოლო ყველაფერს ამას საფუძვლად უდევს თქვენი ბუნებიდან, ხასიათიდან გამომდინარე შეტად მცდარი,

მწერალთა კავშირისათვის, საერთოდ ყოველი ქართველი მწერლისათვის მანვე მოსაზრება და დამოკიდებულება პატრიოტული გრძნობისადმი სამშობლოსათვის.

მე თქვენ თქვენი პირველი შეხვედრისას მითხარით: „არ გინდა ეს ილია ჭავჭავაძეობა“, აი, სათავე ჩვენი უბედურებისა, აი, რატომ უწუნებთ თქვენ ზვიადს ვაუკაცობას, რატომ გაქვთ ირონიული დამოკიდებულება ყველა პატრიოტისადმი. პასუხი თქვენ იქვე მიიღეთ, მაგრამ როგორც ჩანს საჯარო პასუხი აუცილებელია, საჯაროდ უნდა გაირკვეს, ვის რა უნდა და ვინ რისთვისაა მოსული მწერალთა კავშირში. მე პირადად ილია ჭავჭავაძეობა ძალიან მინდა. შეუძლებელია ქართველ მწერალს, ზნეობრივად სვეტაკ და შეურყენელ ადამიანს ილია ჭავჭავაძეობა სასაცილოდ ეჩვენებოდეს. უნდა ჰქონდეს ეს სურვილი, ვინ როგორ შეძლებს ამას ეს სხვა საკითხია...

ვაი იმ მწერლის ბრალი, ვისაც კორკოლიანი უნდა, თორემ ილია ჭავჭავაძეობა ყველა ქართველი მწერლის ვალია...

“იყო კი ცოცხალი ზვიად გამსახურდია, ხიბულაში რომ მიიყვანეს?!”



ავბედიტი სახლის ისტორია

რეპორტაჟი სამეგრელოდან

“იყო კი ცოცხალი ზვიად გამსახურდია, ხიბულაში რომ მიიყვანეს?!”

მკვლელობა თუ თვითმკვლელობა? – დღემდე პასუხგაცემელია კითხვები, რომელიც საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალებას უკავშირდება... ოფიციალური ცნობით, ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა, თუმცა, ოჯახის წევრები ამ ფაქტს გამორიცხავენ. საქმის კვლევა გამოძიების კომპეტენციაა და ამ სტატიით არც მკვლელობის ვერსიის გამართლებას შეგვიძლებთ და არც თვითმკვლელობისა. ერთი კი ფაქტია:

არც ვინც იცის, ზუსტად რა მოხდა 1993 წლის 31 დეკემბერს ხობის რაიონის სოფელ ძველ ხიბულაში, ღურწკაიების ოჯახში, სადაც გამსახურდია გარდაცვლილი ნახეს.

ამჯერად სოფელ ძველ ხიბულაში ჩვენი ჩასვლის მიზანი იმ სახლის მონახულება იყო, სადაც ზვიად გამსახურდია გარდაიცვალა. მოსახლეობა მის მუხუშუად გადაკეთებას ჯერ კიდევ წლების წინ ითხოვდა.

„ცოდვის სახლი“

ძველ ხიბულამდე გზა გრძელი და დამღლევი აღმოჩნდა. სოფლის თავში ერთ-ერთ სახლთან ეჩერდებით და ღურწკაიების ოჯახის მისამართს ვეკითხებით.

– სადაურები ხართ? რომელი ღურწკაიები გაინტერესებთ? – კითხვას მიბრუნებს დამხვედური.

– თბილისელები ვართ. ლუდმილა და კარლო ღურწკაიების ოჯახს ვეძებთ, – ვეუბნები და ისიც ხელით გვანიშნებს, გამოძევით. რამდენიმე წუთში მიტოვებული პატარა ოდის წინ ვიდევით, რომელსაც ჭიშკარიც კი აღარ შერჩენია. უკარფანჯრო პირველი სართულის მორღვეულ კედლებს ფიცრულის მეორე სართული აქვს დაშენებული.

– სად არიან სახლის მეპატრონეები? – ვეკითხები მეგზურს. მისგან მოულოდნელ ამბავს ვიგებ – 2004 წელს ამ ოჯახში სახარელი მკვლელობა მომხდარა, მკვლელობიდან რამდენიმე საათში ღურწკაიების ოჯახს სოფელი დაუტოვეს...

გაოცებული ვეკითხები: რა მკვლელობა მოხდა, ვინ ვინ მოკლა და რატომ? – ჩემი მეგზური მხრებს იჩენს, აშკარაა, რომ კითხვაზე პასუხს თავს არიდებს...

ვიდრე ამ ამბავს გაგარკვევს ხავსმოდებული კიბით მეორე სართულის იმ ოთახში შევიღვარ, სადაც ოფიციალური ვერსიით ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა. ნახევრად ჩანგრეულ იატაკზე დგას კარადა, დამტვრეული საწოლი (სწორედ ამ საწოლში იპოვეს გარდაცვლილი პრეზიდენტი) და ნაგავია მიმოფანტული. იატაკი ყოველ წუთს შეიძლება ჩაინგრესო, – მაფრთხილებს თანმხლები.

– სოფელს გვინდოდა ამ სახლის მუხუშუად გადაკეთება, ადგილობრივ ხელისუფლებასაც მივმართეთ. ისტორიული სახლია, აქ საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა გაატარა უკანასკნელი დღეები და ასეთ მდგომარეობაში არ უნდა იყოს, მაგრამ... მერე უცებ საქმეს იმიზეზებს და მემშვიდობება.

1994 წელს პრეზიდენტის თვითმკვლელობის შესახებ ინფორმაცია მალევე გახმაურდა, მაგრამ გარდაცვალების ადგილზე კარგა ხანს არავინ არაფერს ამბობდა.

თალიკო კვიციანი, ღურწკაიების მეზობელი: – პრეზიდენტმა რომ მეზობლად, ღურწკაიების ოჯახში მოიკლა თავი, სამი წლის შემდეგ გახეთით შევიტყვეთ. იმ დღეს, როდესაც გამსახურდია ღურწკაიებთან მივიდა, კარლო ღურწკაია (პრეზიდენტის მასხინძელი) მოვიდა ჩემთან და მითხრა, – სვანეთიდან სტუმრები მყავს, ღვინოს ვერ სვამენ, არაფერი მომეციო.

– ღურწკაიების ოჯახს როგორ დაახასიათებდით? აქ 1993 წლის 31 დეკემბერს საბელისწერო ღამიდან 11 წლის შემდეგ კიდევ ერთი ტრაგედია დატრიალებულა...

– ჩვენ მეზობლური ურთიერთობა გმქონდა, იმ ამბავზე რა გითხრათ, აბა...

გხვდები, რომ ქალბატონი თალიკოსგანაც ვერაფერს შევიტყვო... აქაურებისგან მაინც ვიგებ, რომ 2004 წლის 28 თებერვალს ლუდმილა და კარლო ღურწკაიების შვილი ნუკრი ღურწკაია, კარის მეზობლის დემურ ქებურიას ჩაქუჩით მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. რვათვიანი პატიმრობის შემდეგ ის სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო...

თალიკო კვიციანი: – კვიციანსა და ღურწკაიებს უკავშირდებოდა. როდესაც ღურწკაიების ეზოში შევედი, – „დემური საკაციო გამოჰყავდათ. თავიდან სისხლი სდიოდა... ლუდმილა ხმადაღდა მოთქვამდა. როგორც გაგიგოთ 9 წლის წინ გარდაცვლიდა.

ამ ფაქტის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად ქებურიების ოჯახში მივედი. ოჯახის წევრები შინ არ დაგვხვდნენ. დემურ ქებურიას ვაჟს, დიმა ქებურიას, ტელეფონით დაუკავშირდი, თუმცა, მან ინტერვიუზე უარი განაცხადა. ერთადერთი ადამიანი, რომელიც მკვლელობის მიზეზზე გვესაუბრა, იხოვდა შენგელია აღმოჩნდა:

– ამ მკვლელობას წინ ჩემი ოჯახის

დაყენება უძღოდა. 2003 წლის 3 ივლისს, როცა შინ მე, ჩემი მეუღლე და ქალიშვილი ვიყავით, ნიღბიანეში შემოვივიდნენ და დაგვავანადგურეს. კიდევ ორი ვაჟი მყავს. მოსკოვში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. იმ საფხულს ჩამოვიდნენ სოფელში.

ვიდაცვებს ეტყობა, ეგონათ, რომ ფული ჰქონდათ ჩამოტანილი და თავს დაგვესხნენ. ჩემი ერთი ვაჟი ამ დროს მეზობელთან იყო. მეუღლე მეორე ოთახში იწვა. ხმაურზე გამოვიდა... კვიციანს ჩემი შვილი შემოვარდა და ეხოლო. ერთს ავტომობილი წაართვა და კიბე ამოირბინა, მაგრამ კართან ესროლეს. სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეთ, თუმცა, ვერ გადაიმრინეს 33 წლის ვაჟაკი...

– დემურ ქებურიას მკვლელობა რა კავშირშია თქვენს ტრაგედიათა?

– ამ ტრაგედიის შემდეგ დემურ ქებურია და ნუკრი ღურწკაია ჩემი შვილის საფლავზე შეკამათებანი ერთმანეთს. იქ ხშირად იკრიბებოდნენ თანასოფელი ბიჭები. ყველამ იცოდა, რომ ნუკრი იყო ამ საქმეში გარეული. მან მისცა ყანაღებს მინიშნება ჩვენს ოჯახზე... სწორედ ამის თქმას აპირებდა ოჯახისთვის ქებურია.

როგორც ვიცო, მკვლელობის დღეს დემური ღურწკაიების ოჯახში მისულა და უთქვამს, დღეს სიმართლე უნდა ითქვას, რა მოხდა და როგორ მოხდა შენგელიების ოჯახში. მერე იქ რა მოხდა არ ვიცი, მაგრამ ნახევარ საათში ქებურიას თავში ჩაქუჩი ჩაარტყეს...

რამდენიმე წლის წინ, როდესაც ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტის შემსწავლელი კომისია შეიქმნა, კომისიის თავმჯდომარეს, პირველი პრეზიდენტის უფროს შვილს, კონსტანტინე გამსახურდიას სოფელ ძველ ხიბულაში ხშირად უწევდა ჩასვლა. ღურწკაიების ოჯახში დატრიალებულ ტრაგედიაზე მასაც სმენია.

კონსტანტინე გამსახურდია: – როგორც ვიცი, დემურ ქებურია ღურწკაიების ოჯახში დანიშნული იყო. როდესაც ნუკრი მეორე ოთახში ღვინის ჩამოსახხმელად გავიდა, ქებურია უკან შეკვდა და დანა მოუღერა. ქალბატონ ლუდმილას მეზობელი საცქვოდ მოსხვენიდა და მარანში შესულა. როდესაც დაუნახავს, რაც ხდებოდა, ჩაქუჩი აუღია და ქებურიასთვის თავში ჩაურტყამს. ნუკრის დემურიისთვის ხელიდან გამოუტაცია დანა და დაუჭრია სტუმარი. ნუკრი დააპატიმრეს და გაამართლეს აუცილებელი თავდაცვის გათვალისწინებით. შემდეგ სოფელმა აიძულა ოჯახი, იქაურობა დაეტოვებინა. ზუგდიდში, კომბინატის დასახლებაში ცხოვრობდნენ. ბოლოს 2010 წელს ვნახე. მას შემდეგ აღარ მინახავს...

ზუგდიდში, კომბინატის დასახლებაში, ნუკრი ღურწკაიას ოჯახს დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ მივაგენი – მითხრეს, საქართველო დატოვეს.

სახლი, სადაც ზვიად გამსახურდია გადაასვენეს

თბილისში წამოსვლამდე ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში ჯონსონ

კვარაცხელიას ვესტუმრე. გამსახურდიას ცხედარი 1994 წლის პირველ იანვარს სწორედ იქ გადაასვენეს და მიწას მიაბარეს. ოჯახის უფროსი რამდენიმე თვის წინ გარდაცვლილა...

საქართველოს პირველი პრეზიდენტის პირველ ძვალთშესალაგზე ჯვრის აღმართვაა განზრახული.

უკვე ბინდებოდა სამეგრელოდან რომ წამოვედი. თბილისამდე ჯერ ძალიან შორია, ვფიქრობ და ტელეფონში სოფელ ძველ ხიბულაში ღურწკაიების სახლის ფოტოებს ვათვალიერებ. მოფაშვალებული სახლი, რომელიც ორი ტრაგედიის მომსწრეა, ალბათ მალე ჩამოინგრევა...

“ამ ადამიანების დაკითხვამ გვიჩვენა კითხვის ნიშანი ბააჩინა“

კონსტანტინე გამსახურდია: – თუ მუხუშუმი არა, ამ სახლის ადგილას იქნებ სამლოცველო აშენდეს, სადაც კაცს სანთლის ანთება შეეძლება, ან ჩაუტარდეს რესტავრაცია; მაგრამ ჯერ უნდა გაირკვეს, ახსოვს თუ არა ამ სახლს ცოცხალი ზვიად გამსახურდია, რადგან ამ ადამიანების დაკითხვებიდან (კონსტანტინე გამსახურდია პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების ფაქტის შემსწავლელი კომისიის ხელმძღვანელობდა) ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა. იყო კი ცოცხალი ზვიად გამსახურდია, ამ სახლში რომ მიიყვანეს?!

ბიორბი ოვანშილი პირველ პრეზიდენტზე ფილმს იღებს

როგორც გახუთ “ილორის” წინა ნომერში ვიუწყებოდით, კინორეჟისორი გიორგი ოვაშვილის ახალ ფილმს იღებს, რომელსაც “ხიბულა” ერქმევა და ზვიად გამსახურდიას ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის ამბებზე დაყრდნობით იქნება გადაღებული...

ბიორბი ოვანშილი: – მე ყველაზე ლიდერზე, რომელიც კარგავს ძალაუფლებას და რჩება საკუთარ თავთან მარტო. ეს არის ფილმი, სადაც პრობლემაზე ვსაუბრობ ზვიად გამსახურდიას მაგალითზე. ფილმში მის სახელსაც კი არავინ ამბობს. ის არის “ბატონი პრეზიდენტი”. არც ის გვანტერესებს, მისი გარემოცვის თითოეულ წევრს რა ჰქვია, ჩვენ მოვლენის არსი გვანტერესებს. პრეზიდენტის როლის შესასრულებლად მიმდინარეობს მოლაპარაკება დანიელ მსახიობ მელს მიკელსენთან. მას მაყურებელი იცნობს სხვადასხვა ფილმით, მათ შორის “ნადირობა”. სიამოვნებით ვათამაშებდი ამ როლს ჯან რენოსაც...

სახლი ხიბულაში, სადაც ზვიად გამსახურდია გარდაიცვალა, საცხები გაპარტახებულია. არადა, როგორც წინა ინტერვიუში აღვნიშნე, ეს სახლი უნდა შეგვენახა, როგორც ისტორიული ძეგლი, იმის გასახსენებლად, რა არ უნდა გააკეთოს ერმა...

თ. ყაჯრიშვილი

ბებიის გარდაცვალების ამბავი რომ შემატყობინეს, ბუნებრივია, გული დამწყდა. ის ბოლო სიმი ჩამწყდა, რომელიც თავის დროზე ბებიებმა გულში გამიბეს. ეგ ის ბებია გახლავთ, რომელმაც, თურმე, ჩემი ავადმყოფობის ამბავი რომ გაუგია, თავადაც ავადმყოფი, საავადმყოფოდან გამოპარულა და ჩემს მოსავლელად ოცი კილომეტრიც ფეხით გამოუვლია. უთქვამს: „მე რად მინდა წამლები და მკურნალობა, როცა ჩემს შეილიშვილს სჭირდება იგი“-ო.

კარგად მახსოვს, დომსა და პიტნაში გადახულილ ჭყინტ ყველს რომ მაჭმევდა, შიგნით ერთ ბეწო ღომს გარედან შიგნით იყვლია. უთქვამს: „მე რად მინდა წამლები და მკურნალობა, როცა ჩემს შეილიშვილს სჭირდება იგი“-ო.

აი, ეგ სიმი ჩამწყდა, მაგრამ სამსახურის გამო მაშინვე ვერ გავევარდი სოფელში.

მე და ჩემი ბიძაშვილი ბელა მხოლოდ გასვენების წინა დღეს წავედით. იგი თბილისში ახალჩამოსული პირველკურსელი იყო, დღემის მახვიში მარტოხელა ქალბატონთან ერთად ერთოთახიან ბინაში იყო მდგომარეობა და შედარებით ნაკლებს იხდიდა, რადგანაც დიასახლისთან ერთად ცხოვრობდა.

ბელას გაუგარე და ღამის მატარებლით გავემზადებეთ ზუგდიდში. მატარებელი დილით ადრე ჩავიდა. ტაქსით ბელას მამის, იგივე ბიძაჩემი ნოდარის სახლში მივედით, საიდანაც მათთან ერთად სოფელში უნდა წავსულიყავით. ბიძაჩემი უკვე ბაღში მუშაობდა. მას ქალაქის პირობისთვის საკმაოდ მოზრდილი ეზო ჰქონდა. გაუხარდა ჩვენი ჩასვლა. მოვიკითხეთ და ბებიის გარდაცვალების გამო წუხილი გაუუხიარეთ ერთმანეთს. მერე ბელას გამოჰკითხა, როგორ ცხოვრობდა, როგორ შეეგუა თბილისს, დიასახლისი ანუ დედობილს, როგორ მისდიოდა სწავლის საქმეები. ბელამ ყველაფერზე დადებითად უპასუხა.

– მამა, ტონკა სად არის? – უცებ მოსაკლისა ბელამ ფინია ძაღლი.
– უი, არ იცი, ბელა? ტონკა თავის ხატვის მასწავლებელს აჩუქა გელამ. ტონკა შენზე უკეთესადაა. ის კაცი ერთოთახიანში ცხოვრობს და ტონკასაც იქ აცხოვრებს, თან ქირასაც არ იხდის. – დაამშვიდა, თითქმის, აცრემლებული ბელა. – ტონკაზე არ დაგწყდეს გული, ტონკა კი არა, ავერ, ბებია არ გყავს და იმაზე იტირე, თუ გინდა.

იმ დღესვე ბიძაჩემის „ზაპოროვეცი“ წავედით სოფელში. გზაში მოგვიყვანა ბიძაჩემი თუ როგორ აიღო მართვის მოწმობა და როგორ ჩააბარა მანქანის ტარების პრაქტიკა. ცნობილი ფაქტია, რომ გვიან ასაკში მხელად სწავლობენ მანქანის ტარებას. ბიძაჩემი კი ორმოცდაათს იყო გადაცილებული მართვის მოწმობა რომ აიღო.

მანქანის ტარების პრაქტიკის ჩაბარებისას გამომცდელად ჩვენი გვარის კაცი ყოფილა, გრიშა, ნაუჯდა მანქანაში ბიძაჩემს, დაძრეს მანქანა, მიუხეივს, მოუხეივს, წრეს შემოუარეს და ბოლოს გააჩერეს. ბევრი რამე შეეშალა ბიძაჩემს და გრიშამ უთხრა: – ვერ ჩააბარე, ნოდარ ბატონო, მაგრამ არა უშავს, შემდეგ კვირაში მოდი, ხელახლა გამოგცდი, მანამ ცოტა წავიარაჯოშუ.

– რა ვერ ჩავაბარე, გრიშა?
– შეგეშალა ბევრი რამე და ნუ მაცდენ ახლა, სხვებიც უნდა გამოგცადო!

– შე კაი კაცი, წინ წადიო, – წავედი. უკან წადიო, – უკან წავედი. დაძარიო, – დაძარიო. გააჩერეო, – გააჩერე და გვერდულად ვერც შენ წაიყვან მანქანას!

გრიშას მოეწონა პასუხი და უთხრა: – კარგი, კარგი. ზევ მოდი და მართვის მოწმობას დაგახვედრებ.

ამგვარად, აიღო ბიძაჩემმა მართვის მოწმობა და ეს „ზაპოროვეცი“ მაშინ იყიდა. მალევე ჩავედით სოფელში და ტირილით ვიჯერეთ გული.

მეორე დღეს მეზობლები ადრიანად შეიკრიბნენ გასვენების პროცესისა და ქვლეხის სამზადისისათვის.

წინა დღეს გამზადებულ სევის ქვეშ მოვიყარეთ თავი. სამოხიოს უფროსი ხელმძღვანელობდა დაკრძალვის მთელ ცერემონიალს.

აბა, ვისაც მესაფლავედ წასვლის სურვილი გაქვთ, გამოდით. თუ არადა, რიგით ვისაც ეკუთვნის იმათ მე დაგასახელებ. – თქვა კოტიმ.

– რიგითაც მეკუთვნის და მოხალისედაც წავედი – გამოიღო თავი რუბენმა. მას აძვირდნენ მალხაზი, ბესო და მურთაზი.

– თქვე კაი ხალხო, გცოდნიათ თქვენი ჯერი როა და რადა მოხალისეობა მოვინ-

დათ?! – კმაყოფილება ვერ დამალა სამოხიოს უფროსმა.

– მაინც უნდა წავიდნენ და ბარემ მოხალისეებდაც ჩათოვლებიან. დაუფასებს ვენერა. – გააქილია უკვე მესაფლავეები თემურემ.

– კარგით ახლა. სეფას და სუფრას ზაზა უხელმძღვანელებს. – განაგრძო კოტიმ. – ახალგაზრდებიც თავად შეარჩიე და შენ იცი, შენებურად გვასახელებ! იმედი მაქვს, არ შეგვარცხვენ!

– როდის შემირცხვენისხარ, ჩემო კოტი? – დაამედა ზაზამ.

– თუ შენების მრეცხავეებად და წელის მომმარაგებლად წინა მესაფლავეები იქნებიან. ამასწინათ ძაბას მესაფლავეები იყვნენ, – კოტიმ საერთო რვეული გადაშალა, შიგ ჩაიხედა და განაგრძო. – გულთაზი, მოგელი, ჯუნგლი და გიზო.

– გულთაზი შეილიშვილია და თუ შენს ხომ არ გაგირეცხავს?! – გაიკვირა რუხიმ.

– მართალი ხარ. მაგი გიულემ შეცვალოს! – განაჩენი გამოუტანა კოტიმ თავის შვილს.

სევის ქვეშ მაგიდები სამ რიგად იყო განლაგებული. ზაზამ მესამე რიგის მაგიდებთან შეკრიბა ახალგაზრდები, სათით-

სამოხიოში ადამიანები, მიუხედავად ცენზისა, მდგომარეობისა, თანამდებობისა, განათლებისა, ყველანი თანაბარნი და თანასწორნი იყვნენ, არიან და იქნებიან კიდევ!

– მიშას რატომ არაფერი დაავალეთ? – იკითხა მეზობელი სამოხიოს წარმომადგენელმა ტოტომ, რომელიც ყოველთვის მზად იყო თავისი საქმიანობით ჩვენს სამოხიოშიც შეეტანა წვლილი.

– მიშამ გუშინ ეს სეფა, თითქმის, მარტომ გააწყო და დღეს შეუძლია დაისვენოს. – ხვალ ისევ მისი დასაშლელი იქნება, ნოდარისთან ერთად.

– აბა, ნოდარისთან თქვენ იმუშავეთ. – გაცხარდა მიშა. – მირჩევნია მარტომ დაეშალო. მასთან ერთად სუფრასთანაც არ დავჯდები.

ნოდარი ნათლიანებია. მიშა და ნოდარი თანაკლასელები არიან, ერთ სკოლაში სწავლობდნენ რვა წელიწადი, ნოდარი ფრიადოსანი იყო და რვაწლეულის შემდეგ უგამოცდოდ ჩაირიცხა ჩვენს სოფელში იმ ხანად არსებულ სუბტროპიკულ ტექნიკუმში. მისი დამთავრებისთანავე სწავლა გააგრძელა სოხუმის სუბტროპიკულ ინსტიტუტში, რომელიც მაშინქოთან და ბიძაჩემთან ერთად დაასრულა

წაბლის ხე



თაოდ მისცა დავალებები: ვინ რომელ მაგიდას მომსახურებოდა; ვის რა პროდუქტი შემოეტანა სუფრაზე; ღვინო, ლიმონათები და ბორჯომის წყლები ვის ჩამოერიგებინა და ა. შ.

შედარებით ჭარმაგებს: ხიტოს, ვენეს, კაპიტონს, ცხაუს, ომარისა და ავთოს სტუმრების შეგებება, სუფრაზე მიწვევა და განთავსება დაევეალათ. საჭიროების შემთხვევაში, შეეძლოთ საპატიო სტუმრებთან სუფრასთან დამსხდარიყვნენ და ეთამადათ კიდევ.

– აბა, მეზობლებო! ყველამ ვიცით ჩვენ ჩვენი საქმე. ერთიც ვნახოთ, როგორ პატივს მივაგებთ ვენერა ბებიას. ეს პატიოსანი ოჯახი ქორწილში გადავიხდით პატივისცემას. – ისევ კოტი ამუნათებდა მეზობლებს. აბა, შეუდგეთ საქმეს!

– ჯერ ადრეა, რა გეჩქარება?! – შეეპასუხა გოგი, რომელიც ნაწუშათევად ოცნებობდა სამოხიოს უფროსობაზე. – მოვასწრებთ ყველაფერს.

სამოხიო თვითმართველობის უძველესი ფორმაა, რომელიც თავდაპირველად ერთი გვარის ოჯახებს აერთიანებდა. შემდგომ სამეზობლო კავშირად ჩამოყალიბდა. კოლმეურნეობების ბრიგადები სწორედ სამოხიოს საფუძველზე იყვნენ შექმნილი. ბრიგადებს თავიანთი ხელმძღვანელები – ბრიგადირები ჰყავდნენ, რომლებიც სამოხიოს რიგითი წევრები იყვნენ და რამე უპირატესობით არ სარგებლობდნენ. თუ ბრიგადირი ბრიგადის (იგივე სამოხიოს) წევრს რამეს დაავალებდა და გააკეთებდა, მას გასამრჯელო უნდა გადაეხდა, მაშინ როდესაც სამოხიოს უფროსის დავალება უანგაროდ სრულდებოდა.

და მას მერე მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე იმუშავე. მიშამ პროფტექნიკუმში დაამთავრა და ჩინებული ხელისანი დადგა. ხელმძღვანელებს ოსტატო, რომ იტყვიან, სწორედ ისაა.

– კი მარა, ნოდარმა რა დაგიშავა? – ჩაეძია ტოტო.

– რაღა რა დამიშავა! სამასი ლარით რომ დამაჯარიმეს, ვითომ არ გაგიგიათ?! – გაიკვირა მიშამ.

– მერე, ნოდარი რა შუაშია? – ვითომ გაიკვირა მიშამ.

– არა ბიჭო, ბაბუჩაჩემი ადგა, სპირიდონი, და იმან მიჩივლა.

– შენ სრულ ჭკუაზე თუ ხარ? მე რა გინივლეთ? მეტი საქმე არა მქონდა? – შეწუხდა ნოდარი.

– აბა, სხვა ვინ მიჩივლებდა? შენ გაქვს მათთან კული გაბარებული. – არ დაცხრა მიშა.

– კულიც გაქვს გაბარებული და ბინაც დაგირაგებული! – არ დაუთმო ნოდარმა.

– მაინც რაზე დავაჯარიმეს? – ჩაეძია ტოტო.

– წაბლის ხე რატომ მოჭერიო. – დამნაშავესავით ჩაილაპარაკა მიშამ.

– წაბლის ხე, თორემ, შენც ახლა ასი ცხენოსნის წაბლის ხეს მოჭრიდი. – დაამშვიდასავით ნოდარმა მიშა.

– ასი ცხენოსნის წაბლის ხე რაღაა? – დაინტერესდა ტოტო.

სხვებიც ყურადღებით მიანიერდნენ ნოდარს.

– ხოლ... ეს ცნობილი, ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი წაბლის ხეა, რომელიც იტალიაში, სანტაფელიოს კომუნაში, ლინგუანგას გზასთან ახლოს, ვულკან ეტნას

ადმოსავლეთ ფერდობზე ხარობს. თქვანოდარმა და ყველა ჩაწუხდა.

– უძველესი და უდიდესი, რომ ამბობ, აბა, გვითხარი რამხელა და რა ხნისაა? – თითქოს, ტყუილში გამოგვიტყვიო, ნიშნისმოგებით ჩავეითხა მიშა.

– ეტნას კრატერიდან იგი 8 კილომეტრითაა დაშორებული. – განაგრძო და თან მიშას მიუბრუნდა. – მისი ასაკი, სპეციალისტების ვარაუდით, თითქმის, ორ ათას წლამდეა. ხოლო მისი დიამეტრი, 1780 წლის ცნობით, 57 მეტრი იყო. აქამდე იგი ცოტათი შემცირებულია, მაგრამ მაინც გინესის რეკორდების წიგნის ბინადარია, როგორც ყველაზე დიდი დიამეტრის მქონე ხე.

– ასი ცხენის წაბლის ხე რატომ ჰქვია? – გაცოცხლებით იკითხა თედომ, რომელიც გულდასმით უსმენდა უფროსებს.

– ამ ხის შესახებ არსებობს, – არ დახარდა ნოდარი პატარას, თუმცა სხვებიც გულდასმით უსმენდნენ. – ეტნასკენ მიმავალ ჯოჯონი I არაგონელს, რომელსაც ასი ცხენოსანი ახლდა, საშინელი ქარიშხალი დაატყდა თავს, ამ დროს შენიშნეს უზარმაზარი წაბლის ხე, რომელსაც ცხენინანად შეაფარეს თავი. მას შემდეგ ამ წაბლის ხეს უწოდეს ასე: „ასი ცხენის წაბლის ხე“.

– კიდევ კარგი, ის ასი ცხენოსნის წაბლის ხე, არ მოჭერი, მიშა! – გაამხნევა ტოტომ მიშა და ნოდარის მიუბრუნდა. – ის ხე რომ მოეჭრა, მაშინ რამდენით დააჯარიმებდნენ?

– რისი მოჭრელია, ბიჭო, ეგ? მაგრამ მასეთიც რომ მოეჭრა, მაშინაც სამასი ლარით დააჯარიმებდნენ. ასეთია ჩვენი კანონმდებლობა! – უპასუხა, თან მიშას მიუბრუნდა. – ისე, წაბლის ხეს რომ ჭრიდი, დააჯარიმებდნენ, აბა, რა გეგონა? – რას ამბობ, კაცი! რა წაბლის ხე მაგი იყო?! – გაითცასავით მიშამ. – რავარც შენ, კაცი გქვია, მაგრამ კაცი არ ხარ! ისე მაგასაც წაბლი ერქვა თორემ რა წაბლი ეგ იყო? დაბრეციდი კეტი იყო ამოსული სკაიას ნაპირზე.

ტოტომ ნოდარის გაბრაზება არ აცალა, ისე შეაჩერა მიშა და უთხრა: – ისე, ჩემო მიშა, შენც არა ხარ მართალი.

– რატომ, ბიჭო, რა დავაშავე?..

– რა და... ის წაბლის ხე ხომ შენი სახლის უკან იყო?

– კი, ჩემი სახლის უკან კი არა ჩემი ეზოა მაგი, სკაიას ნაპირზე, აქეთ ჩემს მხარეს.

– მერე? იმ ხალხმა ხომ ნახა ის ხე მოჭრილი?

– კომისია ყოფილა, ამოწმებდნენ და ნახეს მოჭრილი წაბლი, მე რას მერჩის? – ჩაურთო ნოდარმა.

– ისეც შენ რა გითხარი!.. შენი ძმაკაცები არიან ეგები და შენ ეტყვიდი. – არ დაცხრა მიშა..

– დაცხრა მიშა, მომისმინე! – შეაჩერა ტოტომ. – ის ხალხი ხომ ამოვიდა შენი ეზოს უკანა მხრიდან და გადაკეთეს მთელი შენი ეზო?

– მე რე?

– ოქმიც ხომ დაგიწერეს?

– კი, ეგრე იყო!

მერე, შე დალოცვილო, თითო ჭიქა რომ არ დააღვივებ იმ დაღლილ-დაქანცულ ხალხს, დაგიწერდნენ ოქმს, აბა, რას იზამდნენ? – ჩაიჭირა ტოტომ მიშა.

– რას დავაღვივებდი, ბიჭო! ხალხი მაჯარიმებდა და კიდევ სასმელი უნდა დამემატებინა ჯარიმისთვის?! – გოცდა მიშა.

– ის ხალხი, შენგან გაბოსულნი, – განაგრძო ტოტომ. – მეც დასაჯარიმებლად მომადგნენ. მეც კი მქონდა სახლის უკან ხეები მოჭრილი, მათ შორის წაბლიც, მაგრამ იქ კი არ გაუწვი, თუმცა ზეპირად იცოდნენ რა და რამდენი ძირი ხე მქონდა წაქცეული... სახლში შევიპატივე, შენგან ნაყიდი ღვინო ვასვი და ასე მითხრეს: კაცი ყოფილხარ, ძმაო და თუ რამე მოგიჭრია ღმერთმა შეგარგოსო!.. თუ კიდევ დაგჭირდეს ღმერთმა ხელი მოგიმართოსო!..

– ისე, წაბლის ხე, თურმე, რევმატიზმსა და უძილობას კურნავსო, ნერვიულ დაძაბულობას ხსნის და შიშს ფანტავსო, მართალია? – ჰკითხა კოტიმ ნოდარს.

– მართალია, მართალი და იქნებ მიშამ გამოიყენოს!..

პირველი შეკვივლების ხმა გაისმა ბებიანების განსასვენებელი ფანჩატურიდან, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ პირველი შემცხადებელი სტუმარი მოზარდია.

მეზობლები წამოიშალნენ და სამოხიო ქვლეხის სამზადისს შეუდგა.

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალალანია

ქართული უნებურთის კულუარები: ახალკახეა ჯაბას პირში მიანალა, უნებურთში ხსნირს ნუ ჩაყოფო

(გაგრძელება 305-ე გვერდიდან) შეხვედრას უფვას წარმომადგენლები და აღმასკომის წევრები ესწრებოდნენ. ჯაბამ ძალიან კარგად მიიღო სტუმრები. აქეთ მხარეს ვიყავით ნოდარ ახალკაცი, საშა ჩივაძე, მე, კოტე გაბაშვილი, ჯაბა იოსელიანი და მერაბ ჟორდანიას. საღამოს უფვას დელეგაცია სუფრაზე მივიწვიეთ. ამ დროს შემოდის ჯაბას დაცვა. მათთვის მთავარია, ბოსი დაცვან და ავტომატები მაგიდაზე არ დააწვეს? დათო პეტრი-აშვილი სიცილით წამოვიდა, ხალხს შიდა და იქნებ ავტომატები აიღოთ, შიშით ვერ უჭამათო. ჯაბამ ეს ხალხი ოთახიდან გაუშვა და მერე კი ამოისუნთქეს.

აღურები არიან, წამს არ დაგვიანებენ, საათით მუშაობენ. ასეთ ხალხთან ხომ არ შევრცხვებოდით? თადარიგი დაეჭირეთ და კაფეში დათქმულზე ადრე მივედით. მათ სახით არ ვიცნობდით, მაგრამ ვიფიქრეთ, რომ რადაცინაირად ვიცნობდით. დადგა 12 საათი, გავიხვედ-გამოვიხვედით და კაფეში ჩვეულებრივი ხალხი ზის, არავინ - განსაკუთრებული. გავიდა 10 წუთი და გერმანელები შეხვედრაზე ავიანებენ - მსოფლიოს მერევე საოცრებაა!

ანდრო ჟორდანიას ნაწერი აღმოჩნდა და მითხრა: შეილო, რამდენიმე წლის წინ, ანდროს ქართულ ფეხბურთზე წიგნის გამოცემა სურდა და ეს დაბეჭდილი ფურცლები დამიტოვა. მისი გამოცემა ვერ მოხერხდა, მაგრამ შეინახე და იქნებ ეს ამბავი შენ მაინც შეძლო.

მაგრამ ფიზიკური ნორმატივები იქ მაინც ხომ უნდა ჩააბაროს? გასიებული კოჭით ჩამოვიდა და სიცილით მეუბნება - ვასილ-ინ, ფიფას ნორმატივები ამ ფეხით ჩაე-აბარეო.

საღამოს დიდიხალა, დავრჩით ნოდარი, ჯაბა და მე. ნოდარი ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრას მარტო არ ესწრებოდა. ამბობდა, ყოველთვის უნდა გვავედეს კაცი, რომელიც ამ ლაპარაკს სწორად გაიტანსო. ამიტომ, დარჩენა მეც მთხოვა. კარგად იცოდა, მს-გავს ვითარებაში ხმები გაურცვლდებოდა და სალაპარაკოს არავის აძლევდა.

მერე ერთი მოგვიახლოვდა და გვკითხა, თქვენ ხართ საქართველოს ფედერაცი-ოვანი? და ერთ-ერთ მაგიდაზე მოკრძა-ლებულად მჯდომ ორ კაცზე მიგვიანინა, ისინი გელოდებიანო. საბჭოური წარმოდ-გენებით, ხელმძღვანელი სამსახურში თუ სასადილოში რომ შემოვიდოდა, ყველა ფეხზე წამოდებოდა, მიესალმებოდა და ასე შემდეგ. არადა, ისინი შევნიშნეთ, მაგრამ ფეხზე არავინ წამოდგარა და ვი-ფიქრეთ, საფეხბურთო კავშირის ჩვეულებ-რივი თანამშრომლები არიან-თქო.

თურმე, მისი დროის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს, სიხარულიძეს ერთხელ მი-მართა, მაგრამ მას კატეგორიული უარით გაუსტუმრებია - მომამორე, ჟორდანიას არ გაამაგონო. ანდრო ნოე ჟორდანიას ძმისშვილი იყო, თავისუფალი კაცი გახლ-დათ, კომუნისტების მთავრობას ავინებდა და მისი წიგნის გამოცემა საფრთხილო საქმე იყო.

გადავირე, როგორ-მეთქი? თეორიაში არც იქ გასტირებია. ფიზიკური ნორმა-ტივების ჩაბარების დრო რომ დამდგარა, ადგილზე გასიებული კოჭით მისულა.

მოკლედ, მარტო დავრჩით და ნოდარი ჯაბას ეუბნება: - ჯაბა, უფურები, რამხელა ცხვირი მაქვსო? ჯაბას გაეცინა, მაგრამ ნათქვამი აშკარად ვერ გაიგო. ნოდარმა კი გააგრძელა: - ჯაბა, ხმები მომივიდა, თითქოს, შენი კაცის მოყვანას აპირებ და არ გინდა, ფედერაციაში ჩემი ცხვირი ძლივს ეტევა და შენი უკვე ზედმეტი იქნებაო.

მომეწონა ასეთი უბრალოება. იყო ასეთი შემთხვევა: უფაში მნიშვნელოვანი საკ-ითხი განიხილებოდა, რამაც კამათი გამოი-წვია. გენერალურმა მდივანმა აიგნერმა შესვენება გამოაცხადა და დარბაზში დაბრუნებულს მოგვმართა: - იმედია, შესვენება თქვენც საქმიანად გამოიყენეთ, მე კი ლუდის დაღვრვაც მოვასწარო. ლუდის ხსენებით, ვითარების განმუხტვაც სცადა.

სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ კი უკვე ფილიპე მახარაძე მუშაობდა, რომელთანაც ახლო ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. რამდენიმე თვეში ეს ფურ-ცლები მასთანაც შევიტანე. საინტერესო კაცი იყო და მითხრა, ამას მივხვდავო და რამდენადაც ვიცო, ჩასასწორებლად რომან მიმინოშვილს გადასცა.

აბა, ფიფაში ასეთ ოინბახობას რას წარმოიდგენდნენ?! გამონაკლისი დაუშვეს, საპატიო მიზეზით ტესტები გამოატოვე-ბინეს, ნორმატივები ჩაუთვალეს და კატე-გორიაც მისცეს.

ასე აჯახა პირდაპირ! ჯაბას გაუკვირდა. არა, ნოდარ, არც მიფიქრიაო. მაგრამ ფაქტია, რომ მას მერე თავი დაგვანება...

ერთხელაც ასეთი მიდგომა მეც ვცაღე. როცა კლუბების ხელმძღვანელებს ვხვდუ-ბოდით. ასე რომ დაველაპარაკე, "შეჯარ-დენის" პრეზიდენტმა ზურაბ ჭიტიაშვილმა გაკვირვებულმა შემომხედა - ვასილინ, ხომ მშვიდობააო?

როგორც ვხვდები, ასე ეღიროსა დღის სინათლე ანდრო ჟორდანიას წიგნს - "ფიქრები ქართულ ფეხბურთზე". სხვათა შორის, გამოცემაში ბევრი დეზალი და კონკრეტული გვარია ამოღებული. უფრო მკაცრი კრიტიკა იყო. ანდრო კომუნისტური პარტიის რამდენიმე მაღალჩინოსანსაც პირდაპირ ამხელდა. ამიტომაც იყო, შედგვის მიუხედავად, მაინც ებრძოდნენ და ხშირად ხსნიდნენ. ახლა ვფიქრობ, შავი მასალა უნდა შემენახა და წლების შემდეგ სრუ-ლად გამომეცა...

...სამოქალაქო ომის წლებია, ყველაგან საჭმლის პრობლემაა. ამ დროს, "გურიას" ლეგენდარული მთავარი მწერტნელი შა-ლიკო კაკაბაძე ფეხბურთს შეეშა და ვე-რაზე, ფილარმონიის წინ, ხილ-ბოსტანის მალაზია გახსნა.

ამის გამო, ერთი მნიშვნელოვანი შეხვე-დრა კინალამ ჩავეშალა. ტელეკონტრაქტებ-შიც ვერ ვერკეოდით და ნოდარმა გერ-მანიის საფეხბურთო კავშირის გენერალურ მდივან შმიდტს რჩევა სთხოვა. გერმანიაში ვართ, ტელეფონით დაგუკავშირდით და შეხვედრა მათივე საფეხბურთო კავშირის პირველ სართულზე მდებარე კაფეში დავთქვით. შმიდტი კავშირის პრეზიდენტ-თან ერთად უნდა მოვიდეს.

მაშინ ვუთხარი ჩემს თავს - დათიკო, მიხედე, სადაც ხარ-თქო. ყველაფრის მექანიკურად გადმოღება არ შეიძლება. ჩვენ ჩვენი ურთიერთობის ფორმები გვაქვს...

სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ კი უკვე ფილიპე მახარაძე მუშაობდა, რომელთანაც ახლო ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. რამდენიმე თვეში ეს ფურ-ცლები მასთანაც შევიტანე. საინტერესო კაცი იყო და მითხრა, ამას მივხვდავო და რამდენადაც ვიცო, ჩასასწორებლად რომან მიმინოშვილს გადასცა.

მასთან წარსულში ცნობილი მსაჯი კარლო ყრუაშვილი მეგობრობდა. ერთხ-ელაც, კარლომ შალიკოს გაუარა და ხე-დავს, მანქანიდან კარტოფილს ტვირთავენ. როგორც 10-12 კაცია და სთხოვა, შალიკო, კარტოფილი მინდა და როგორ ნუ დამაყენებო.

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ "ლავრენტი ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქ-ტორი ალექსანდრე შენბელია). გამოცემა განხორციელდა სახ-ალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუს-თაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფის-ში. ტელ. 599.209.624

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველისკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

ზურიკო შამათავას მონატრება

ორი წელი გავიდა იმ ტრაგიკული დღიდან. 5 მარტი ყველაზე მძიმე დღეა ჩვენთვის, შენი ყველა ახლობლისათვის. ამ დღეს სამუდამოდ წახვედი, დაგვიტოვე დიდი სევდა და დარდი. მაშინ შენ ხომ სულ რაღაც 25 წლის ახალგაზრდა იყავი. კეთილშობილებით, სითბოთი, სიყვარულითა და კარგი იუმორით გამორჩეული. შენით ვამაყობდით, ეხარობდით. შენი ლამაზი სულით ყველას ამშვენებდი. უზომო სიყვარულსა და სითბოს აფრქვევდი. ყველას აკლიხარ, მაგრამ გაუსადღისია უშენობა შენი მშობლებისათვის, შენი დისათვის. ჩვენთვის, შენი ბებიასა და ბაბუასათვის. გვიჭირს შეგუება რომ არასოდეს დაგვიბრუნდები და აღარასოდეს შემოაღებ ჩვენი სახლის კარებს. შენ მუდმივად ჩვენთან ხარ, ჩვენს გულში, სულ ჩვენთან ტრიალებ. ძალიან გვენატრები, უშენოდ ვცხოვრობთ რა თქმა უნდა, მაგრამ უშენობას ვერაფრით მივეჩვიეთ, ჩვენი საამაყო ადამიანო. არასოდეს მოშუშდება ის დიდი ტკივილი, რომელიც შენმა ტრაგიკულმა სიკვდილმა დაგვიტოვა.



ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6, საბჭო. №01018002930, 234-32-95

მითავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანია

თემატიკა: ჯალალანია მიხეილ ჩოლოყიშვილი

გაზეთი: ჯალალანია 599-34-37-27

სარედაქციო საბჭო: ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თინათინ კუპალაშვილი, ზვიად მიტოპია, ბივი სოფიოშვილი, ვიტორ ცაავა, ბიორბი სიჭინავა, ნუზარ სალაყაია (ბალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge